# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 11 აპრილი 2007 №79 (3002) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# MANCHESTERRIBLE

## რომას MAMMA უტირეს



# ორშაბათიდან: ასათიანი ექვსი თვის შემდეგ



**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი მალხაზ ასათიანი მძიმე ტრავმის შემდეგ გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშს ორშაბათიდან შეუდგება. ეს ამბავი ორიოდ დღის წინ ასათიანმა „სარბიელს" თავად ამცნო. ახლა კი მისი მზადყოფნის შესახებ „ლოკომოტივის" ექიმმა საველი მიშალოვმაც თქვა: „ორშაბათიდან მალხაზს ვარჯიში სრული დატვირთვით შეეძლება, მას ჯვარედინი იოგები ჰქონდა დაწყვეტილი და ექვსთვიანი მკურნალობაც ამიტომ გახდა საჭირო. მომავალ კვირას კი ასათიანის ტრავმიდან სწორედ ექვსი თვე სრულდება. ორშაბათიდან იგი სრულფასოვანი ფეხბურთელი იქნება" — უთხრა ჩვენს რუს კოლეგებს „ლოკომოტივის" ექიმმა.

ჩვენთან საუბრისას კი მალხაზმა ისიც დააყოლა, რომ თამაშს, სავარაუდოდ, მაისში განაახლებს.

## ფეხბურთით მოუღლელი



რეზო ძოძუაშვილი სამოცდაორი წლისა შესრულდა. ის კვლავაც მწყობრშია. კვლავაც მოუსვენარი, ზობოქარი და მოქმედი. ემოციური, მოუღლელი, მოდავე და კვლავაც ფეხბურთით მცხოვრები და მსუნთქავი, მოურგებელი და უკანმოუხედავი, რისკიანი და ფრთხილი. ფეხბურთელობისას მრავალი ბრძოლის გადამხდელი და ახლაც ბრძოლაში მყოფი. სადაც რეზო ძოძუაშვილია, იქ ყოველთვის არის ფეხბურთი და სადაც ფეხბურთია, მიხიჩაც იქ დგას, მინდვრის კიდეზე.



საფეხბურთო კლუბი „ოლიმპი" დაბადების დღეს ულოცავს 62 წლის სახელოვან ქართველ ფეხბურთელს, ამჟამად „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს

# პირველი ეტაპი მეორით დასრულდა

**მოგებით** დაასრულა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა კასტელო ბრანკოს ოთხთა საერთაშორისო ტურნირი. ბოლო დღეს, გუშინ, ჩვენებმა კასტელობრანკოელ 18-წლიანთა ნაკრებს 1:0 მოუგეს. გამარჯვების გოლი საჯარიმო დარტყმით მე-60 წუთზე გიორგი გორდეზიანმა გაიტანა. შეხვედრა კი ჩვენმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნიორაძე (მეფარიძე 20), მამულაძე (ბოლოთაშვილი 41, ძალამიძე 65), ჭანკვეტაძე, ახალბედაშვილი, ხაჩიძე, რიგვავა, კვანტალიანი (ვაშაკიძე 41), გორდეზიანი, ფილია, ბაგალიშვილი (ქარდავა 55), შეყილაძე (მელიქიშვილი 55).*

ამ გამარჯვებით ქართველებმა მეორე ადგილი დაიკავეს. პირველობა პორტუგალიელებმა ირგუნეს, მესამე-მეოთხე ადგილებზე, შესაბამისად, დანიისა და კასტელო ბრანკოს რეგიონის ნაკრებები გავიდნენ.

ჰერბერტ ცანკერის გუნდისთვის ეს პირველი მოსამზადებელი ეტაპი იყო ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის. მანამდე ცანკერის გუნდი კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს.

25-30 აპრილს მეოთხედ ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი „ევროპა უნიტა", რომლის კენჭისყრა უკვე გაიმართა. ჩვენები A ჯგუფში იტალიის, სლოვენიისა და იტალიის ერთ-ერთი რეგიონის ნაკრებებთან მოხვდნენ. B ჯგუფში ხორვატიის, რუმინეთის, სერბეთისა და ლიტვის გუნდები გაერთიანდნენ. A ჯგუფს სლოვენია უმასპინძლებს, B ჯგუფს — ავსტრია, ნახევარფინალები და ფინალი იტალიაში გაიმართება.

2-8 ივლისს ქართველი ჭაბუკები თურქეთში, საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს, ხოლო 20 აგვისტოდან პალანგის ტრადიციულ ტურნირში ჩაებმებიან. საერთაშორისო ტურნირების გარდა ნაკრები რამდენიმე შეკრებას საქართველოშიც გაივლის.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კი შემოდგომაზე ბულგარეთში გაიმართება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ხორვატი, უნგრელი და ბულგარელი თანატოლები იქნებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ჰერბერტ ცანკერი

# ლადო ახალაია მოლდოვაში დაბრუნდა

**ლადო ახალაიას** ბუქარესტის „დინამოში" გადასვლა გადაწყვეტილ ამბავს ჰგავდა, თუმც რუმინეთის ჩემპიონატის ლიდერმა მისი იჯარით აყვანა იუარა. ისე გამოვიდა, რომ 24 წლის ფორვარდი ბუქარესტულ გუნდში ორ კვირაზე მეტი გასინჯვაზე იყო.

ახლა კი გადაწყდა, რომ ლადო მაისის ბოლომდე მოლდოვურ „დაჩიაში" ითამაშებს — იგი უკვე შეუერთდა გუნდს. „დაჩია" მეოთხე ადგილზეა და უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის.

ახალაია ადრეც თამაშობდა მოლდოვაში, კერძოდ, კიშინიოვის „ზიმბრუში", საიდანაც თბილისის „დინამომ" 2002 წელს გადაიბირა. ლადომ თქვა, „ზიმბრუში" დაბრუნება მინდოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ არ მოინდომაო.

**ილია ნანობაშვილი**

ცხოვრებაში და ფეხბურთში
ამაგდარ კაცს, ულალატო მეგობარს
და არაერთი ახალგაზრდის დამკვალიანებელ
ჯემალ გაბისონიას
66-ე დაბადების დღეს ულოცავენ მისი ახლობლები

# არ გადააგდო, იქნებ 13-ათასიანია



უკვე მეშვიდე ტურია, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე 2-ლარიანი ლატარიის ბილეთები იყიდება. პროფლიგის ამ პროექტის განხორციელება ჩემპიონატის განახლებისთანავე დაიწყო, მოგებული კი ჯერაც არავინაა. თითოეული ტურის საპრიზო ფონდი 1 000 ლარია, მაგრამ იღბლიანად ბილეთი ჯერ არავის შეუვსია და ჯეკპოტი 7 ათასამდე გაიზარდა. შეგახსენებთ: ლატარიის პრინციპი მარტივია, ბილეთის მფლობელმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურისა და სხვა ოთხი თამაშის შედეგი უნდა გამოიცნოს.

პროფლიგის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილს** გუშინ სწორედ ლატარიის თაობაზე ვესაუბრეთ...

— წამახალისებელი ლატარიის გათამაშებამ გაამართლა თუ არა, ჯერჯერობით ვერ გეტყვით. როცა სტადიონებზე ქომაგისა და, შესაბამისად, გაყიდული ბილეთების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაშინ შეგვეძლება ვიმსჯელოთ, თუ რამდენად გაამართლა პროექტმა. როცა ამ საქმეს ვიწყებდით, იმის ილუზია არ გვქონდა, რომ ტრიბუნები მაშინვე შეივსებოდა. ყველაფერს დრო სჭირდება. ისე კი, უკვე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი იდეა, პოპულარიზაცია გავუწიოთ ეროვნულ ჩემპიონატს, ეფექტურად მოქმედებს. საფეხბურთო სამყარო ჩვენი პროექტით ნელ-ნელა ინტერესდება და იმედი მაქვს, მასმედიის მხარდაჭერით საერთო მიზანსაც მალე მივაღწევთ.

— ჯეკპოტი უკვე 7 ათასი ლარია, ანუ ერთი ბილეთის თერთმეტივე შედეგი ჯერ ვერავინ გამოიცნო. ხომ არ ფიქრობთ, რომ 11 შედეგის გამოცნობა მოსაგებად ნამეტანია?

— სხვათა შორის, კარგად გამოჩნდა, რომ ჩვენს ჩემპიონატშიც ბევრია გამოუცნობი თამაში და არც მთლად ისეა საქმე, როგორც ფიქრობდნენ, ყველაფერი წინასწარ ცნობილიაო. რაც შეეხება ჯეკპოტს, ის უსასრულოდ არ გაიზრდება, მეორე წრეში სულ 13 ტურია და ჩემპიონატის ბოლომდე ბილეთში მოცემული ყველა შედეგი თუ ვერავინ გამოიცნო, ჯეკპოტი მაქსიმუმ 13 ათასი იქნება. ეს თანხა კი თავის პრიზებიანად 26 მაისს საქართველოს თასის ფინალისას გათამაშდება. მაშინ იმ ბილეთის ნომერი მოიგებს, რომელიც ჩემპიონატის მატჩებისას გაიყიდა. ასე რომ, ქომაგებს შევახსენებ, რომ შეძენილ, მაგრამ ვერმოგებულ ბილეთებს ნუ გადაყრიან, იქნებ ის 13-ათასიანია.

— ვიცით, რომ პროფლიგამ და „ყაზბეგმა" ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის ერთობლივი პროექტიც განახორციელეს. რა პროექტია ეს?

— ამ პროექტის შედეგს ოთხშაბათიდან ნახავთ. ქართულ ტელეარხებზე გავა კლიპები, რომლებიც, იმედი გვაქვს, ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. დანარჩენს ეკრანზე ნახავთ.

**კობა ინასარიძე**






13 აპრილი, მე-20 ტური

ბორჯომი — ტორპედო
ამერი — სიონი
დილა — კახეთი
დინამო — ზესტაფონი
ბათუმი — ლოკომოტივი
ჩიხურა — მერანი
ვიტ ჯორჯია — ოლიმპი
მაინცი — შალკე
მესინა — მილანი
ალკმაარი — ვიტესი
დნიპრო — ხარკოვი

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 19 ტური

ტორპედო 0:1 ამერი
კახეთი 2:3 დინამო
ოლიმპი 2:0 ბორჯომი
სიონი 3:0 დილა
ზესტაფონი 4:0 ბათუმი
ლოკომოტივი 0:0 ჩიხურა
მერანი 0:0 ვიტ ჯორჯია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 19 | 15 | 3 | 1 | 45:6 | 48 |
| დინამო | 19 | 15 | 0 | 4 | 39:15 | 45 |
| ზესტაფონი | 19 | 12 | 6 | 1 | 36:6 | 42 |
| ამერი | 19 | 12 | 4 | 3 | 34:12 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 11 | 5 | 3 | 38:23 | 38 |
| სიონი | 19 | 10 | 2 | 7 | 25:16 | 32 |
| ტორპედო | 19 | 8 | 4 | 7 | 18:17 | 28 |
| ბათუმი | 19 | 6 | 4 | 9 | 19:22 | 22 |
| ბორჯომი | 19 | 5 | 5 | 9 | 17:29 | 20 |
| მერანი | 19 | 4 | 6 | 9 | 14:30 | 18 |
| ლოკომოტივი | 19 | 4 | 5 | 10 | 12:26 | 17 |
| ჩიხურა | 19 | 3 | 6 | 10 | 11:27 | 15 |
| დილა | 19 | 1 | 3 | 15 | 10:48 | 6 |
| კახეთი | 19 | 0 | 1 | 18 | 15:57 | 1 |

„ვიტ ჯორჯიას" გარდა, ლიდერთა ჯგუფში მოტრიალე ყველა გუნდმა მეცხრამეტე ტური მოგებით გადააგორა, ანუ სტატუს-კვო შენარჩუნდა და ხმაურიან ამბებს 13 აპრილს უნდა ველოდოთ — პარასკევს სამი ისეთი თამაშია, დედა შვილს არ აიყვანს. ამ ტურში კი ყველაზე დიდი სენსაცია თელავში ცხვებოდა, სადაც აუტსაიდერი „კახეთი" 61-ე წუთამდე უგებდა „დინამოს", მაგრამ სანდრო იაშვილმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. იოლად იმარჯვა „ზესტაფონმა", „ოლიმპმა" და „ამერმა" კი ცოტა მოიკრძალეს. ახლა ქვემოთ არ იკითხავთ? საპლეიოფო, მეთორმეტე ადგილზე ჯერჯერობით „ჩიხურაა", მაგრამ სხვა გუნდებიც იქვე ტრიალებენ...

## იმერულ-ამერული უარი ვიტელთა ევროშანსია

**საქართველოს** თასს ადრიანად გამოთიშულმა „ვიტ ჯორჯიამ" პირველი წრე მეორე ადგილით ჩაამთავრა, მეორეში კი ისე ველარ ჩაუქრობს, მაგრამ მაინც აქვს შანსი, ევროტურნირზე ითამაშოს.

ვიტელებისთვის მთავარი ახლა ის უნდა იყოს, რომ „სიონმა" ან „ტორპედომ" არ გადაასწრონ და „ოლიმპს" და „დინამოს" „ზესტაფონი" და „ამერი" არ დაეწიონ. თუ ყველაფერი ისე დარჩა, როგორც მე-19 ტურისთვისაა, მეხუთეადგილოსანი „ვიტ ჯორჯია" ინტერტოტოს თასზე ითამაშებს.

„ვიტ ჯორჯიას" ცხრილში ოთხი გუნდი უსწრებს, რომელთაგან ორმა, „ამერმა" და „ზესტაფონმა" ინტერტოტოზე თამაშზე უარი თქვა. რომ არა ეს, ინტერტოტოს საგზური მესამეადგილოსანს შეხვდებოდა.

ნესტორ მუმლაძის გუნდმა ამ ტურში „მერანს" ვერ მოუგო, თუმც თუ მიზანი ინტერტოტოა, ამ ფრით „ვიტ ჯორჯია" დიდად არ დაზარალებულა.



## იაშვილმა უსწრაფესი იაშვილს გაუტანა

**ერთი** ძმა „დინამოში", მეორე „კახეთში" — დინამოელმა სანდრო იაშვილმა ლვიძლ ძმას სამი გოლი გაუტანა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

როგორი იქნება ახლანდელი „დინამო" იაშვილის გარეშე? დუშან უჰრინის სქემის მთავარი წერტილი, ხაზი და ვექტორი ეს 22 წლის ცენტრფორვარდია — სანდროს გარეშე უჰრინს ახალი ნახაზის დახაზვა მოუწევს და ჯერ არავინ იცის, როგორი იქნება ის.

იაშვილი სწორედ თელავიდან წამოვიდა თბილისში ფეხბურთის სათამაშოდ, 15 წლისა აიყვანა „ვიტ ჯორჯიამ" და „კახეთში" თამაში ვერ მოასწრო. იქ ახლა მისი ძმა თამაშობს. გიგა „კახეთის" მეკარეა და სანდროს პოკერი არ შეასრულებინა — პირველ გოლამდე პენალტი აუღო.

დინამოელმა იაშვილმა კარიერაში უსწრაფესი ჰეთ თრიქი სწორედ ძმასთან შეასრულა — სამი გოლი ხუთ წუთში გაიტანა.



## პატივი გვეცით ქართველებს



**ვლადიმერ ხაჩიძის** გაწვრთნილი „ბორჯომი" 67-ე წუთამდე უძალიანდებოდა ლიდერ „ოლიმპს", მანამდე, სანამ ოლიმპელი თორნიკე აფციაური ქარის დახმარებით გაუტანდა გოლს თორელებს. ამით გაწბილებულმა მწვრთნელმა კი პრესკონფერენციაზე გული გადმოგვიშალა — „ბორჯომის" შემადგენლობა იმდენჯერ შეიცვალა, ეს უკვე რიგით მეოთხე გუნდია, ხოლო ასეთ მოედნებზე იტალიელმა და ფრანგმა ფეხბურთელებმა რომ ითამაშონ და ივარჯიშონ, სანაკრებოდ სამ კაცზე მეტს ვერ აარჩევთო.

რუსთავში, „ფოლადის" სტადიონზე ისეთი მინდორია, ბურთი სად, როდის და როგორ ახტება, დიდი გამოცანაა. მოედნებზე საუბარმა კი სანაკრებო თემამდე მიიყვანა „ბორჯომის" და „ოლიმპის" მწვრთნელები. ძოძუაშვილმა, ქართული კლუბების ნაკრებს შევქმნით, ლეგიონერებით დაკომპლექტებულ ნაკრებს გავეჯიბრებით და იქ ვნახოთ, ვინ რისი მაქნისიაო.

ხაჩიძეც არანაკლებ მახვილი გამოდგა — ნაკრებებში ფეხბურთელებს ისე იძახებენ, ქართველ მწვრთნელებს არცკი გვეკითხებიან ამ ფეხბურთელებზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენდამი უპატივცემულობა, იმუშავონ მწვრთნელებად ქართულ გუნდებში და ნახავენ, რა პირობებშიც გვიწევს საქმიანობაო.

ჩვენი ნაკრებების გერმანელი მწვრთნელები „ბორჯომიდან" შოთა გრიგალაშვილს იწვევენ ხოლმე, თუმც ჯერაც ბუნდოვანია, რატომ...

## განუყრელი წყვილი მესამე გაჩერებაზე

### კიკნაძე-ზამთარაძის რკინიგზული გაზაფხული



**საქართველოს** ჩემპიონატში უცნაურობებს რა გამოლევს და, ერთი ასეთი გიორგი კიკნაძე-ზაზა ზამთარაძის სამწვრთნელო დუეტის გზაა. ხშირად როდი ხდება, მწვრთნელმა ერთ სეზონში სამი კლუბი გამოიცვალოს. მით უფრო საკვირველია, რომ 30 წლის კიკნაძემ და 31 წლის ზამთარაძემ რუსთავის „ოლიმპი" ლიდერის პოზიციაზე დატოვეს, მეორე წრის საწყის ორ ტურში ქუთაისის „ტორპედოც" შედეგიანად ათამაშეს და აგერ, მესამე „გაჩერებას" მიადგნენ — თბილისის „ლოკომოტივს".

კიკნაძე-ზამთარაძის განუყრელ წყვილს საჩხერის „ჩიხურასთან" საშინაო 0:0 მჭექარე დებიუტად ვერ ჩაეთვლება, მაგრამ ერთს კი დავაკვირდით — მათი გაწვრთნილი გუნდები ძალიან ცოტა გოლს უშვებენ და ეს მაშინ, როცა დაცვითი ფეხბურთის მიმდევრები სულაც არ არიან.

მთავარი მწვრთნელი — გიორგი კიკნაძე, ასისტენტი — ზაზა ზამთარაძე: ვნახოთ, რამდენ ხანს გაჩერდებიან ისინი „ლოკომოტივში". ჩვენი მხრივ კი დავამატოთ, რომ კიკნაძე შარშანწინ უკვე მუშაობდა რკინიგზელთა მწვრთნელად, ოღონდ ნოდარ აკობიას თანაშემწე გახლდათ და მაშინ „ლოკომოტივმა" საქართველოს თასიც ჩაიხუტა.

### სიმბოლური ნაკრები

ვიეირა — ზესტაფონი
ლუკა ტეტიაშვილი — კახეთი
სანდრო იაშვილი — დინამო
ნიკა კვასხვაძე — ზესტაფონი
ვიტალი დარასელია — სიონი
თორნიკე აფციაური — ოლიმპი
შოთა ბაბუნაშვილი — სიონი
თენგიზ ჩიკვილაძე — ამერი
შალვა ლონლაძე — ზესტაფონი
პაატა დათუნაიშვილი — ვიტ ჯორჯია
კახა გლუნჩაძე — მერანი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 13-იაშვილი | დინამო |
| 12-ფიფია | ზესტაფონი |
| 10-ბელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 8-დვალიშვილი | ოლიმპი |
| 7-ტატანაშვილი | ამერი |
| დოლიძე | ამერი |
| გ. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იონანიძე | ზესტაფონი |

### მეოცე ტური

13 აპრილი, პარასკევი
ბორჯომი – ტორპედო
ამერი – სიონი
დილა – კახეთი
დინამო – ზესტაფონი
ბათუმი – ლოკომოტივი
ჩიხურა – მერანი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი

# ლომაია და აშვეთია: იენელ ქართველებს სიტუაცია და ნერვები დაეძაბათ

მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში იენის „კარლ ცაისმა" სტუმრად 0:2 წააგო ბუნდესლიგის საგზურის მაძიებელ „ფიურტთან", სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა და ახლა გასავარდნ ზონაშია. იენელთა ორივე ქართველმა, გიორგი ლომაიამ და მიხეილ აშვეთიამ, ტრავმების გამო მოედანი ნაადრევად დატოვეს — ლომაიამ სულ 22 წუთი ითამაშა, აშვეთიამ — 62. გუშინ მათი ამბების გასაგებად აშვეთიას შევეხმიანეთ...



— გიორგის ნერვი აწუხებდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, ეთამაშა. ერთ ეპიზოდში ძნელი ბურთი მოიგერია, გაუმიზეზდა და ამიტომაც შეცვალეს. მე კი სადღაც 30-ე წუთისთვის კუნთი დამეჭიმა. კარგ პოზიციაში ვიყავი, მცველი ჩამოვიშორე და მეკარესთან ერთი ერთზეც ვრჩებოდი, მაგრამ ტკივილი ვიგრძენი და შეტევა ვერ დავამთავრე. თამაში კი გავაგრძელე, მაგრამ...

— რამდენად სერიოზულია შენი და გიორგის ტრავმები?

— გიორგი ხვალიდან ვარჯიშს შეუდგება და მომავალი ტურისთვის მზად იქნება. ჩემი თამაში ცოტა საეჭვოა, მაგრამ ექიმები მაიმედებენ, გვერდითი კუნთია და შეიძლება, იოლად მორჩესო.

— მომდევნო ტურში აუე-ს მასპინძლობთ...

— ჩვენთვის მნიშვნელოვანი მატჩია, საშიშ ზონაში ვართ და მხოლოდ მოგება გვინდა. აუე კი ბოლო ტურებში ჩვეულად ვერ თამაშობს და ბუნდესლიგაში გადასვლის შანსები შეიმცირა, ეს კი ჩვენს შანსებს ზრდის.

— ბოლო ტურებში „კარლ ცაისიც" ვერ ყოჩაღობს...

— ძნელი თამაშები გვქონდა, ლიდერებს ვხვდებოდით და მათთან წაგება კატასტროფა არ არის. ვეცდებით, დაკარგული დარჩენილ მატჩებში ავინაზღაუროთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საერთაშორისო ჟურნალისტი დავით მუჯირი: სავიზო პრობლემა უაზრო პრობლემაა

„ესეც პირველი თურქმენული გოლი" — ასე ხუმრობდნენ „სატურნ" — „კრილიას" მატჩისას, დავით მუჯირმა მასპინძლებს გოლი რომ გაუტანა. „თურქმენული გოლი" კი რუსული პრესის მიერ აგორებულ საპირველაპრილო ხუმრობას მოჰყვა — მუჯირს თურქმენეთის მოქალაქეობა მისცეს და რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გადასვლა თავისუფლად შეეძლებაო. რუსულმა „სპორტ ექსპრესმა" ჩვენიანს მცირე ინტერვიუ ჩამოართვა.

— ხუმრობა ხომ არ გეწყინათ?

— არა, რას ამბობთ. გული იმაზე მწყდება, რომ ერთი კვირა თბილისში ვიჯექი და „კრილიას" ვერაფრით ვეხმარებოდი.

— თქვენ თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრეთ და პროფესიული აზრი საინტერესოა: თქვენ გარშემო შექმნილმა ვითარებამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე დადებითად შეიძლება იმოქმედოს?

— რაღაც ასპექტში კი. ჩემს სავიზო პრობლემას დიდი ყურადღება დაეთმო, ქართულ გაზეთებს ბევრი ინტერვიუ მივეცი და ყველას აზრი ერთი იყო — ასეთი პრობლემები არ უნდა არსებობდეს.

— „კრილიას" ძალიან აკლდით...

— „კრილიაში" დაბრუნებისთანავე ვიგრძენი, რომ შემიძლია, გუნდს შემოქმედებით ფეხბურთზე გადართვაში დავეხმარო. სეზონის დასაწყისში ჩვენ უმეტესად თავს ვიცავდით და ეს კარგადაც გამოგვდიოდა, ახლა კი შეტევაც საჭიროა. „სატურნთან" სტუმრად მატჩში იმდენი საგოლე მომენტი შევქმენით, წლეულს არც ერთ თამაშში რომ არ გვქონია.

# დღის წესრიგშია ბუნდეს-ბურდული

**უკრაინის** ჩემპიონატი 17 ივნისს მთავრდება და 27 წლის ლადო ბურდულსაც მაშინ დაუსრულდება კონტრაქტი კრივოი როგის „კრივბასთან" — შევიტყვეთ, რომ ბურდულს მეორე ბუნდესლიგაში გადასვლის არცთუ მცირე შანსი აქვს და თუ საქმეს დასჭირდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი რეკომენდაციას არ დაამადლის. თვითონ ბურდული ამ თემაზე საუბარს მოერიდა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერიაო. ის კი გვითხრა, თუ რატომ არ ითამაშა უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში კრივის „არსენალთან".

— თამაშამდე ორი დღით ადრე ვარჯიშზე ერთ-ერთმა თანაგუნდელმა წვივის კუნთში ისე ჩამარტყა, ვარჯიში დღეს განვაახლე. ტრავმა სერიოზული არ არის და მომდევნო ტურში ალბათ ვითამაშებ — გვითხრა გუშინ ლადომ და ისიც დაამატა, „კრივბასს" ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს, მაგრამ უკეთეს ვარიანტზე ვფიქრობ.

**დავით თავართქილაძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ემპოლი 3:1 | 45 | შეცვალეს | 13 | 1 | 5 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | გლადბახი 2:0 | 90 | | 23 | 3 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | შ | კიოლნი 0:1 | 10 | შეცვლაზე შევიდა | 24 | 3 | 8 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | ს | ფიურტი 0:2 | 22 | შეცვალეს | 9 | 0 | 17 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | ს | ფიურტი 0:2 | 62 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 9 | 4 | 17 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | აუგსბურგი 2:0 | 90 | | 25 | 8 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | აუგსბურგი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 1 | 5 |
| მათე ღვინიანიძე | მიუხენ 1860 | შ | კარლსრუე 2:0 | 0 | | 13 | 0 | 10 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ასტონ ვილა 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 0 | 11 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ბრედა 4:1 | 0 | | 26 | 13 | 2 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | | ტური გადაიდო | | | 15 | 2 | 6 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | | ტური გადაიდო | | | 19 | 0 | 10 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | მ. დონეცკი 0:0 | 0 | | 5 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | მ. დონეცკი 0:0 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | მ. დონეცკი 0:0 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | დინამო 0:0 | 0 | | 14 | 2 | 12 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | ს | კრივბასი 0:1 | 0 | | 10 | 2 | 9 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | ზარია 1:0 | 90 | პენალტი გააცუდა | 16 | 4 | 10 |
| ირაკლი მოდებაძე | მ . ზაპოროჟიე | შ | ზარია 1:0 | 28 | შეცვლაზე შევიდა | 16 | 3 | 10 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | სტალი 1:3 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 16 | 4 | 4 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | ს | სტალი 1:3 | 0 | | 3 | 0 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | არსენალი 1:0 | 90 | გოლი | 21 | 11 | 6 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | შ | არსენალი 1:0 | 0 | | 18 | 1 | 6 |
| გიორგი ჭელიძე | ზარია | ს | მ. ზაპოროჟიე 0:1 | 0 | | 3 | 0 | 16 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | მეტალისტი 1:3 | 0 | | 17 | 0 | 8 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | ს | კარპატი 0:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 14 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | შ | კრილია 1:1 | 90 | | 2 | 0 | 13 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ნალჩიკი 0:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 14 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ნალჩიკი 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 14 |
| დავით მუჯირი | კრილია | ს | სატურნი 1:1 | 74 | გოლი | 3 | 0 | 5 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | დინამო 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| ალეკო ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | რუბინი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 9 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | შ | რუბინი 1:0 | 90 | | 4 | 0 | 9 |
| **დანია. სასლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | ს | ჰორსენსი1:3 | 0 | | 5 | 0 | 10 |
| **ლიტვა. ალიგა** | | | | | | | | |
| ნუკრი მანჩხავა | კაუნასი | ს | ინტერასი 3:2 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| გივი კვარაცხელია | კაუნასი | ს | ინტერასი 3:2 | 25 | შეცვლაზე შევიდა | 1 | 0 | 3 |
| აკაკი ხუბუტია | შილუტე | ს | სუდუვა 1:4 | 90 | | 1 | 0 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს


კარლო ანჩელოტი
AFP

# ჩვენ შეგვიძლია, ჩვენც შეგვიძლია

**ბაიერნი (გერმანია) — მილანი (იტალია) (2:2)**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**ბაიერნი:** კანი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი, მაკაი, პოდოლსკი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**მიუნხენის** „ბაიერნს", რომელმაც ჩემპიონთა ლიგა 2001 წელს მოიგო, კარგი შანსი აქვს, მას მერე პირველად გავიდეს ნახევარფინალში. მაშინდელ მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდის ხელში გამოფხიზლებულმა გერმანელებმა „სან სიროდან" კარგი შედეგი, 2:2 წამოიღეს და ახლა „ალიანს არენაზე" საქმის ბოლომდე მიყვანაღა დარჩათ.

თავის მხრივ, „მილანი" ყურების ჩამოყრას ნამდვილად არ აპირებს და ბოლომდე იბრძოლებს. მით უმეტეს, რომ „როსონერის" სტატისტიკაც უმაგრებს ზურგს — ამ კლუბების წინა 9 ურთიერთშეხვედრიდან იტალიელებმა 5 მოიგეს, „ბაიერნმა" მხოლოდ 1, ხოლო 3 შეხვედრა ფრედ მორჩა.

ამ უქმეებზე ჩემპიონატებში ორივემ წარმატებით ითამაშა. „ბაიერნმაც" და „მილანმაც" მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს, შესაბამისად, „ჰანოვერთან" და „ემპოლისთან".

ოტმარ ჰიცფელდი: „განწყობა ოპტიმისტურია. „ჰანოვერის" დამარცხებამ თავდაჯერება შეგვმატა და ხასიათი კიდევ უფრო გაგვიუმჯობესა. ახლა კარგ ფორმაში ვართ და „მილანის" გაგდება შეგვიძლია".

„ნელ-ნელა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას ვიწყებთ, რაც „ემპოლისთანაც" გამოჩნდა. ვითარებას რეალურად ვაფასებ, „ბაიერნსა" და, თავისთავად, „მილანსაც" კარგად ვიცნობ, ამიტომ ვიცი, რომ ნახევარფინალში გასვლა შეგვიძლია. ჩვენი მთავარი მიზანია, ვითამაშოთ ისე, როგორც საშინაო შეხვედრაში და გასვლის კარგი შანსი გვექნება" — აღნიშნა „როსონერის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

„ბაიერნს" დისკვალიფიკაციამოხდილი ოლივერ კანი და მარკ ვან ბომელი უბრუნდებიან. პირველ მატჩში დაშავებული ვილი სანიოლი, რომ არ იქნება, ალბათ ესეც მოგეხსენებათ. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ვერ ითამაშებს მარტინ დემიკელისიც. მცირე ტრავმები აქვთ ოუენ ჰარგრივსს, ბასტიან შვაინშტაიგერს, ლუსიოს და ჰასან სალიჰამიჯიჩს, მაგრამ, სავარაუდოდ, ითამაშებენ.

„მილანს" მთავარი პრობლემა თავდასხმაში აქვს, კერძოდ, დისკვალიფიცირებული ალბერტო ჯილარდინოს არყოფნა. წინასწარი ინფორმაციით, ანჩელოტი 4-3-2-1-ს არც ამჯერად შეელევა და ერთადერთ ფორვარდად ფილიპო ინძაგის გაამწესებს. მის უკან კაკა და კლარენს ზეედორფი იქნებიან.

„თანაგუნდელებს ვთხოვე, მომდევნო ეტაპზე გამიყვანონ — მჯერა, ისინი კარგად ითამაშებენ. ძალიან ვწუხვარ, რომ მე ვერ გავალ მინდორზე. პირველ მატჩში მსაჯი აშკარად გაცხარდა და ყვითელი ბარათი დაუმსახურებლად მიჩვენა" — თქვა ჯილარდინომ.

პირველ მატჩში მსაჯობა მართლაც განსაკუთრებული თემა იყო. რუსმა იური ბასკაკოვმა უამრავი შეცდომა დაუშვა, რამაც შეხვედრის მსვლელობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. დღევანდელ თამაშს კი გამოცდილი ესპანელი მანუელ მეხუტო გონსალესი განსჯის.

„მჯერა, მომდევნო ეტაპზე გასვლა შეგვიძლია, რადგან „ბაიერნზე" ძლიერები ვართ. პირველი მატჩის ანგარიში არ ასახავს იმას, რაც მინდორზე ხდებოდა. ბოლო წამზე დასანანი გოლი გაგვიტანეს, თან ჯილარდინოს გოლი ტყუილად არ ჩაუთვალეს და აქეთ გააფრთხილეს, რის გამოც საპასუხო მატჩის გამოტოვება უწევს. ვნერვიულობ თუ არა მსაჯზე? როგორც წესი, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს კარგ არბიტრებს ანდობენ, თან შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს" — თქვა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

ისიც ვქვათ, რომ ჩემპიონთა ლიგის ბოლო 11 საშინაო მატჩში „ბაიერნი" დაუმარცხებელია, თუმცა იტალიური კლუბების 10 მასპინძლობიდან გერმანელთა გამარჯვებით მხოლოდ 3 შეხვედრა დასრულდა.

ევროსარბიელზე გამართული ბოლო 9 საგარეო მატჩში „მილანმა" მხოლოდ 3 გოლი გაუშვა. გერმანიაში ბოლო ოთხი ვიზიტიდან კი „როსონერი" ერთხელაც არ დამარცხებულა — ორი მოიგო და ოთხივე შეხვედრაში, სულ მცირე, გაიტანა გოლი.

**გიორგი კაკაბაძე**

# გახსოვდეთ სტამბოლი!
## ბენიტესს საგარეო 3:0 ძალიან აშინებს

**ლივერპული (ინგლისი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (3:0)**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, მასკერანო, ჯერარდი, ხ. ალონსო, მ. გონსალესი, პენანტი, კრაუჩი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, ფეჰერი, და კოშტა, სიმონსი, სალსიდო, კულინა, კოკუ, ვაირინენი, სუნი, ა. კონე, ფარფანი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

**რაფაელ ბენიტესმა** პსვ-სთან მატჩის წინ თავის ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის ორი წლის წინანდელი ფინალი გაახსენა. მაშინ „ლივერპული" „მილანთან" 0:3-ს აგებდა და მეორე ტაიმში გაათანაბრა, საბოლოოდ კი თასიც დაისაკუთრა.

ეინდჰოვენში მოგებული 3:0-ის შემდეგ სასწაული ალბათ არ მოხდება და პსვ ვერ გაიმეორებს იმას, რაც „ლივერპულმა" სტამბოლში მოახერხა, მაგრამ ბენიტესი ამბობს, რომ ცალი ფეხით ნახევარფინალში გასული მისი გუნდი არ უნდა მოდუნდეს და საქმე დასრულებულად არ უნდა ჩათვალოს.

„ასეთი მატჩები ყოველთვის მძიმე გამოდის. ზოგჯერ გუნდს საქმე მოთავებული ჰგონია და ისჯება. ჩვენ სიფრთხილე გვმართებს. ვიცით, რომ 0:3-ის შემობრუნება შეუძლებელი არაა, თვითონ მოვახერხეთ მსგავსი რამ სტამბოლში. თუ პსვ გოლს მალევე გაგვიტანს, გააფთრებული შემოგვიტევს და პრობლემები შეგვექმნება ისევე, როგორც „ბარსელონასთან" საშინაო მატჩში".

ბენიტესის სიფრთხილის მიუხედავად, სტატისტიკა აჩვენებს, რომ პსვ უშანსოა. ევროთასების 50-წლიან ისტორიაში 114 გუნდს წაუგია შინ 0:3 და მომდევნო ეტაპზე ვერ გასულა.

„მილანთან" ფინალურ მატჩში „ლივერპულის" გამარჯვება მეტწილად სტივენ ჯერარდის საუცხოო თამაშმა განაპირობა, პსვ-ს კი ასეთი დონის ფეხბურთელი არ ჰყავს. ჯერარდმა ერთი კვირის წინ ეინდჰოვენშიც გაუტანა მეტოქეს, რომელმაც შეტევაში უსუსურად ითამაშა და უგოლო ფრეზეც ყაბულს იყო. „ლივერპულს" მოგება ცოტათი ჩაამწარა ფაბიო აურელიოს ტრავმამ, რომელსაც მყესი გაუწყდა და სეზონის ბოლომდე დააკლდება გუნდს. აურელიოს ტრავმა ძირითად შემადგენლობისკენ გზას მარკ გონსალესს გაუხსნის.

მასპინძლებს დღეს დისკვალიფიცირებული დირკ კუიტიც დააკლდებათ და შეტევაში ალბათ პიტერ კრაუჩი და კრეიგ ბელამი ითამაშებენ, რომელიც ამ შაბათს „რედინგთან" მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს.

პსვ ლივერპულში 16 კაცით ჩავა და მათ შორის არ იქნებიან ტრავმირებული ალექსი, იბრაჰიმ აფელაი, ედისონ მენდესი, მიხაელ რაიციგერი, ალსიდესი და იან კრომკამპი.

ეინდჰოვენელებმა წინა ტურში სტუმრად „ნაიმეგენთან" 1:2 წააგეს და ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე მდევარ „ალკმაარს" ორი ქულითღა უსწრებენ.

„ლივერპულმა" ევროთასებზე ბოლო 32 საშინაო მატჩში 16 გოლი გაუშვა და ჰოლანდიურ კლუბებს „ენფილდზე" სამივე მატჩი მოუგო.

პსვ-ს ჩემპიონთა ლიგის ბოლო ცხრა შეხვედრიდან ექვსში გოლი არ შეუგდია, ხოლო ინგლისში ხუთი სტუმრობიდან მხოლოდ ორჯერ გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**


რაფაელ ბენიტესი შეგირდებს აფრთხილებს
AFP



# მთავარი კაჭკაჭი უარზეა

## ოუენს იქ ეძახიან, სადაც...

**ინგლისურ** „ლივერპულს" ყოფილი ფორვარდის, კაპიტნის და ერთ-ერთი ლიდერის მაიკლ ოუენის დაბრუნება უნდა და „ნიუკასლს" ევაჭრება.

ოუენმა კარიერის უმეტესი ნაწილი სწორედ „ლივერპულში" გაატარა, საიდანაც მადრიდის „რეალში" გადავიდა და შემდეგ „ნიუკასლში" აღმოჩნდა.

„ოქროს ბიჭუნა" შარშან გერმანიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე დაშავდა, რის გამოც თითქმის წელი გაუცდა და ამ თვეში უკვე შეძლებს თამაშს.

„კაჭკაჭების" მწვრთნელი გლენ რიოდერი კი ოუენის გაშვების სასტიკი წინაალმდეგია...

ვაჟა ხუციშვილი

# ისროლე ფეხში და სცადე გაქცევა

**ჯანლუიჯი ბუფონმა** კიდევ ერთხელ რომ თქვა, არ ვიცი, წავალ თუ დავრჩებიო, გუშინაც გამცნეთ — ტურინის „იუვენტუსის" მეკარის თქმით, იგი გუნდის გამოცვლაზე იმიტომ ფიქრობს, რომ ძალიან ენატრება ჩემპიონთა ლიგა.

„ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ ჯიჯი თამაშზე იყოს კონცენტრირებული და სერია A-ში დაბრუნება, რაც შეიძლება, მალე გავინაღდოთ. ისე კი, მას კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი აკავშირებს და თუ „იუვეს" ამბიციებს გავითვალისწინებთ, არა მგონია, ხელმძღვანელობამ მისი გაშვება დაუშვას. ბუფონისნაირი მეკარე არ არსებობს და მისი გაყიდვა იმის მსგავსი იქნება, ფეხში რომ ისროლო და მერე გაქცევა სცადო" — თქვა „იუვეს" თავკაცმა დიდიე დეშანმა.

ჩემპიონთა ლიგა დავიდ ტრეზეგესაც ენატრება, მაგრამ ფრანგმა თავდამსხმელმა ბუფონისგან განსხვავებით, ცოტა ხნის წინ განაცხადა, გუნდის გამოცვლაზე აღარ ვფიქრობ, „იუვენტუსში" დარჩენა მინდაო.

„არ მიკვირს, რომ ზოგიერთ იმ ფეხბურთელს, რომლებიც წასვლაზე ფიქრობდნენ, აზრი შეეცვალათ. ივლისის მერე კლუბში ბევრი რამ შეიცვალა და მომავალი სეზონისთვის კიდევ ბევრი ცვლილება იქნება, რასაკვირველია, უკეთესობისკენ. ტრეზეგე ჩვენი გეგმების ნაწილია და დარწმუნებული ვარ, მას კონტრაქტის გახანგრძლივებას შესთავაზებენ და ამ წინადადებას იგი ყურადღებით განიხილავს. ასევე მინდა ვთქვა, არ მესმის, რატომ არ აქცევენ მას სათანადო ყურადღებას ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელები. ეს არც თავად საფრანგეთისთვის ნაკრებისთვისაა კარგი და დავიდსაც თრგუნავს" — დასძინა დეშანმა.



გიორგი ძაძამიძე

# პალერმოს თვალებდახუჭული პრეზიდენტი



მაურიციო ძამპარინი

**სიცილიური** „პალერმოს" მწვრთნელმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ ადგილი შეინარჩუნა.

შაბათს „პალერმომ" შინ 1:3 წააგო „კალიარისთან", რითაც წარუმატებელი სერია გააგრძელა და ოთხეულში ადგილის დაკარგვის პირასაა. არადა, ერთ დროს მესამე ადგილზე ისე იყო წამოჭიმული, უახლოეს მდევარს 12 ქულით უსწრებდა. მორიგი მარცხით განრისხებულმა კლუბის ექსცენტრულმა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ ცხელ გულზე კი თქვა, ეს გვიდოლინის ბოლო მატჩი იყოო, მაგრამ მერე ყველაფერზე დახუჭა თვალები და გადაიფიქრა.

ორშაბათს ძამპარინი კლუბის სპორტულ დირექტორ რინო ფოსკის შეხვდა — მათ გადაწყვიტეს, რომ გვიდოლინი სეზონის ბოლომდე დარჩება გუნდში.

„ძალიან გაბრაზებული ვიყავი და ჩემი განცხადებები ამან გამოიწვია. გვიდოლინი სეზონის ბოლომდე მაინც დარჩება. ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე ხელმძღვანელობაშიც არანაირი ცვლილება არ მოხდება და ვეცდებით, გავარკვიოთ, რაშია პრობლემა. ოთხშაბათს „პალერმოს" შეკრებას მეც შევუერთდები და მწვრთნელთან ერთად დავგეგმავ სამომავლო ნაბიჯებს" — აღნიშნა ძამპარინიმ.

ქოქი ქანდელაკი

# მადლობით გათავისუფლებული ვასკესი

**„უელვასთან"** წაგების შემდეგ, პრიმერადივიზიონში დასარჩენად მებრძოლ ვიგოს „სელტას" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი ფერნანდო ვასკესი დაითხოვა — 52 წლის სპეციალისტი გუნდს 2004 წლიდან თავკაცობდა.

თებერვალში, ათმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, ვასკესის გაშვებაზე ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ მაშინ მისი დატოვება გადაწყდა, თუმც ამას ხეირი არ მოჰყოლია.

ვინ შეცვლის ვასკესს, ჯერ უცნობია.

„სელტას" პრიმერადივიზიონში მოთამაშე გუნდებიდან საშინაო მატჩებში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს — ვიგოელებმა ამ სეზონში საკუთარ „ბალაიდოსზე" გამართული 14 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს.

„კლუბში ვასკესის ერა დასასრულს მიუახლოვდა. გვინდა, მას დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველაფრისთვის, რაც გუნდისთვის გააკეთა" — ნათქვამია „სელტას" ოფიციალურ განცხადებაში.

ქოქი ქანდელაკი

# დიეგო, წადი სახლში!

## მარადონა სიკვდილს გადაურჩა

**უახლოეს** დღეებში ფეხბურთის ლეგენდას, დიდ დიეგო მარადონას საავადმყოფოდან გამოწერენ, სადაც მარტის ბოლოს „ალკოჰოლური ჰეპატიტის" დიაგნოზით მოათავსეს.

გუშინ გემესის კლინიკის დირექტორმა ექტორ პეცელამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა და მას უკვე სახლში წასვლა შეუძლია.



ვაჟა ხუციშვილი

# როზინა რომას სამიზნეზე

**„ტორინოს"** ნახევარმცველი ალესანდრო როზინა „რომას" პირველი სამიზნეა საზაფხულო ტრანსფერებში — წერს იტალიური „კონტროკამპო".

„გლადიატორთა" მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის ტორინოელი ფეხბურთელი როდრიგო ტადეისა და ამანტინო მანსინის შემცვლელად უნდა. 22 წლის როზინას კლუბთან კონტრაქტი 2009-ში ეწურება — იგი ჯამაგირის მომატებას ითხოვს, მაგრამ „ტორინო" უარზეა, რამაც, შესაძლოა, გუნდის გამოცვლისკენ უბიძგოს.

# ხულიოს გაგრძელება

**მილანის** „ინტერი" ხულიო რიკარდო კრუზთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკებას დაიწყებს. არგენტინელი თუ დათანხმდა, ხელშეკრულებას 2009 წლამდე გააფორმებს.

32 წლის კრუზმა ამ სეზონში 11-ჯერ ითამაშა და ხუთი გოლი მიითვალა. ამბობდნენ, რომ ფორვარდი „მილანში" გადასვლას აპირებდა, რადგან ინტერელები ჯამაგირს არ უმატებდნენ.

# თაღლითი დანიელი

**მოსკოვის** ცსკა-ს ბრაზილიელი დანიელ კარვალიუ თაღლითობაშია ეჭვმიტანილი. რუსი ექიმები ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელს მარცხენა მუხლი საბოლოოდ მოურჩა და ვარჯიში უკვე შეუძლია, მაგრამ იგი ტკივილებს უჩივის და ვარჯიშს თავს არიდებს.

კარვალიუ გამოკვლევაზე ამერიკაში აპირებდა წასვლას, თუმც კლუბის უფროსობამ უარი უთხრა.

# გავცვალოთ?

**„სანდი მეილის"** ცნობით, „ჩელსი" „ვალენსიას" მცველების გაცვლას სთავაზობს. „პორტსმუთში" გაქირავებული გლენ ჯონსონის დაბრუნება ჩელსელებს მარჯვენა მცველის პრობლემას მაინც ვერ მოუხსნის. ამიტომ ლონდონელებს ვალენსიელი მიგელის გადაბირება უნდათ და სანაცვლოდ პაულუ ფერეირას სთავაზობენ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

მიგელი ფერეირაზე ძვირია და „ჩელსის" ფულის დამატებაც მოუწევს.

# ბარსას ლეგენდა მოუკვდა

**84 წლისა** გარდაიცვალა მარიანო გონსალეს — „ბარსელონას" ყოფილი ვარსკვლავი, რომელიც 1940-1957 წლებში თამაშობდა და აქედან ცამეტი სეზონი (1942-1955) კატალონიურ კლუბში გაატარა.

მარიანო გონსალეს ხუთჯერ გახდა ჩემპიონი, სამჯერ ესპანეთის თასი მოიგო და 16-ჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში. მას გონსალეს III-ს ეძახდნენ, რადგან ორი უფროსი ძმა ჰყავდა და ორივე ფეხბურთელი იყო.

ვაჟა ხუციშვილი



# მე თვითონ!

## სტოიჩკოვი მოხსნამდე გაიპარა

**ხრისტო სტოიჩკოვი** ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა — ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ ოფიციალურად განაცხადა.

„ჩვენ დავაკმაყოფილეთ სტოიჩკოვისა და ნაკრების მენეჯერ დიმიტარ დიმიტროვის თხოვნა გადადგომის თაობაზე“ — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა, ნაკრების ყოფილმა მეკარემ ბორისლავ მიხაილოვმა.

ხრისტო სტოიჩკოვმა მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა გუნდი, მაგრამ მაინც დატოვეს, თუმც ბულგარეთის ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევშიც ცუდად თამაშობს, რის გამოც მედია და გულშემატკივრები მწვრთნელის მოხსნას ითხოვდნენ.

ბულგარელებმა მარტში ალბანეთთან შეხვედრა უგოლოდ დაასრულეს და ხუთი მატჩიდან ცხრა ქულით ჯგუფში მესამე ადგილზე არიან.

შეგახსენებთ, რომ ხრისტო სტოიჩკოვმა ნაკრები პლამენ მარკოვისგან 2004 წელს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უყიდის რაული რაფას რაულს?



**ესპანურ** მედიაში ბოლო ხანს ხშირად საუბრობენ რაულზე და „ლივერპულზე“ — „დიარიო სპორტის“ ცნობით, ფორვარდმა მადრიდის „რეალთან“ მოლაპარაკება დაიწყო კონტრაქტის გამოსყიდვის თაობაზე და უნდა, რომ თავისუფალი აგენტი გახდეს, რაც „ლივერპულში“ გადასვლის საშუალებას მისცემს. მისი ხელშეკრულება 2010 წელს იწურება.

„თუ რაული „რეალიდან“ წავა, თავს პრემიერლიგაში გამოცდის. ვიცი, რომ მას ინგლისი უყვარს“ — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ხინეს კარვახალმა.

რაული რამდენჯერმე უნახავთ „ენფილდზე“, რაფაელ ბენიტესს კი არაერთხელ უთქვამს, რომ „რეალის“ ფორვარდს სიამოვნებით მიიღებს თავის გუნდში.

**ვაჟა ხუციშვილი**

## არის ჰარი!

**„ლივერპულის“** ავსტრალიელმა ლეგიონერმა ჰარი კიუელმა ტრავმა მოიშუშა და მალე ალბათ ძირითად შემადგენლობაშიც დაბრუნდება. მან გუშინ უკვე ითამაშა ამხანაგურ მატჩში „შეფილდ იუნაიტედთან“.

28 წლის კიუელი შარშან გაზაფხულზე ინგლისის ლიგის თასზე „ვესტ ჰემთან“ დაშავდა და თითქმის მთელი წელი გაუცდა.

## კრისი თუ წავა...

**„სანდი ექსპრესის“** ცნობით, შოტლანდიური „ჰიბერნიანის“ მწვრთნელი ჯონ კოლინზი ეგებ ინგლისური „ფულემის“ თავკაცი გახდეს, თუ ამ ზაფხულს ლონდონური კლუბიდან კრის კოულმენს გაუშვებენ.

„ფულემი“ ცხრილში ქვევით მიიწევს, რის გამოც კოულმენის მოხსნაზე ალაპარაკდნენ. თავის მხრივ, კოლინზს უთანხმოება აქვს „ჰიბერნიანის“ ფეხბურთელებთან და სეზონის ბოლოს წასვლას აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დევიდ ბექემი წარმოგიდგენთ

## როცა სხეული ნემსებით იხატება

**ძველთაგან** ნათქვამია, სვირინგებმა და პირსინგებმა გატაცება იცისო: დაიწყებ ნემსებით ტანის მოლამაზებას და ველარ გაჩერდები.

აი, ასეთი რამ სჭირს საქვეყნოდ ცნობილ დევიდ ბექემსაც.

პოპვარსკვლავ ვიქტორია ადამსბექემის ქმარი დევიდ ბექემი, მოგეხსენებათ, ფეხბურთელია, მადრიდის „რეალში“ გამოდის, მაგრამ „სამეფო გუნდის“ ბოლო შეხვედრაში არ უთამაშია — საზოგადოებას თავისი ახალი სვირინგი წარუდგინა.

ბექემის ასოთმცოდნეობის დიდოსტატებმა დაბეჯითებით განაცხადეს, რომ ბოლო სვირინგი ინგლისელის სხეულზე მეცხრეა. ყველას, აბა, ვინ აღწერს, მაგრამ ზოგადად შეგვიძლია გითხრათ, რომ თემა ძირითადად ორია: ანგელოზები და ოჯახი.



**ბაბუნა ძიდია**

# ჩელსი გრანტს მიიღებს

**ინგლისური** „პორტსმუთის“ ტექნიკური დირექტორი აბრაამ გრანტი ამ ზაფხულს ლონდონის „ჩელსის“ სამწვრთნელო შტაბში გადავა — წერს „დეილი მირორი“.

ისრაელის ნაკრების ყოფილი თავკაცის გადაყვანა რომან აბრამოვიჩს ზამთარშივე უნდოდა, მაგრამ ჟოზე მაურინიუმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

ახლა, როცა თავად მაურინიუს მომავალი ბუნდოვანია, რუსული ენის მცოდნე დირექტორის გადასვლა „ჩელსიში“ თითქმის გადაწყვეტილია. მას ახალ გუნდში ორი თანაშემწე ეყოლება და მთავარ მწვრთნელსა და კლუბის პატრონს შორის შუამავლობას იკისრებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

დღეიდან ასეთი საუბრები გვექნება: ფეხბურთელი და მანქანა.

ვისაც ეს უბრალო, ერთფეროვანი ამბავი ჰგონია, ძალიანაც ცდება.

ფეხბურთელი კარგა ხანია, არ არის ის კაცი, ვინც, უბრალოდ, თამაშობს და მორჩა.

მას თავისი ხელფასით ძველ ნაოცნებართა ასრულება შეუძლია. მანქანა კი, ვინ იცის, სწორედ ყველაზე ძველი ნაოცნებარიც კი გამოდგეს.

ფეხბურთელის მანქანა მისი პატრონის ხასიათზე, გემოვნებაზე და, ცოდვა გამხელილი სჯობს, კაი ბიჭობაზეც კი იძლევა პასუხს.

ჰოდა, ფეხბურთელი და მანქანა...



## უეინ მარკ რუნი

### თავდამსხმელი

დაიბადა 1985 წლის 24 ოქტომბერს ლივერპულში

სიმაღლე: 1,78 მეტრი

წონა: 78 კგ

კარიერა: 2002-04 წლები — „ევერტონი“ (67 მატჩი, 15 გოლი)

2004 წლიდან — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (84 მატჩი, 35 გოლი)

2003 წლიდან თამაშობს ინგლისის ნაკრებში (36 მატჩი, 12 გოლი)

მეტსახელები: თეთრი პელე, რუნალდო, ვაზა, შრეკი

## BMW X5 4.8i SE

გამოშვების თარიღი: 2006 წელი

სიგრძე: 4, 854 მეტრი

სიგანე: 2,197 მეტრი

სიმაღლე: 1,766 მეტრი

წონა: 2 245 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 4,8

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 240 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 6,5 წამში

ფასი: 50 070 ევრო



# ორი სიცოცხლის მქონე კატა



„**თავიდან** მეგონა, ეს მხოლოდ დარტყმა იყო, მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მარცხენა თეძოდან სისხლი ჩქეფდა, რამდენიმე წამში კი საშინელი ტკივილიც ვიგრძენი" — აინტრახტელი კრისტიან პროისი „კოტბუსთან" 1:3 წაგებული მატჩის შემდეგ ფრანკფურტის კლინიკაში წევს.

მეკარე ოკა ნიკოლოვთან შეჯახებაში დამნაშავე თავადვე იყო და მოედანიც წითლად შეიღება.

„აინტრახტის" მწვრთნელმა ფრიდჰელმ ფუნკელმა ვითარება ასე განმარტა: „მას მხოლოდ საკუთარი შეცდომის გამოსწორება სურდა".

შედეგი კი — საკუთარ კარში გატანილი გოლი და უმძიმესი ტრავმა.

25 წლის პროისს 15-სანტიმეტრიან ჭრილობაზე 50 ნაკერი დაადეს. მისდა საბედნიეროდ, კუნთი თითქმის არ დაზიანებულა.

პროისს საავადმყოფოდან დღეს გამოწერენ ინვალიდის სავარძლითა და სახვევებით. გუნდის ექიმს, დოქტორ კრისტოფ ცეგერს კი იმედი აქვს, რომ ფეხბურთელი ამ სეზონში კიდევ მოასწრებს თამაშს.

ეს ტრავმა პროისისთვის ბოლო პერიოდში უკვე მეხუთეა — ბოლოს მენისკის ოპერაციისა და მუხლის ძვლის ამოვარდნის გამო მან თითქმის მთელი წელი გამოტოვა.

„მე კატასავით ვარ და მეორე სიცოცხლე მაქვს. მალე კვლავ ვითამაშებ" — იმედიანადაა კრისტიან პროისი.

**ნინო სილაგაძე**

# ზაი, ზაი, ფალკო!



ფალკო გიოტცი

**ფალკო გიოტცი** ბერლინის „ჰერტას" მწვრთნელი აღარ არის — დედაქალაქელებმა ბუნდესლიგაში ბოლო რვა მატჩიდან 6 წააგეს, 2 ფრე ითამაშეს, უკვე მე-9 ადგილამდე დაეშვნენ და მწვრთნელიც მოუხსნეს. სეზონის დაწყებამდე დიდი ამბიციების მქონე „ჰერტას" უეფას თასის საგზურის მოპოვებაც ძალიან გაუჭირდება.

„ჰერტას" 52 წლის კარსტენ გაინე უთავკაცებს, რომელიც ბერლინელებს ადრეც წვრთნიდა — 1991 და 1994-95 წლებში.

**კოკი კანდელაკი**

# ფიოლერი ცხვარივით გაცხარდა

**აღდგომას** „ლევერკუზენმა" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო სამბურთიანი სხვაობით — უეფას თასზე ესპანურ „ოსასუნასთან" 0:3-ს ამჯერად „ბოხუმთან" 1:4 დაემატა. კლუბის სპორტული დირექტორი, ცნობილი რუდი ფიოლერიც გაცხარდა და რა გაცხარდა...

„აუხსნელია ეს ჩაძინება. რატომღაც მშვიდად ვართ — შეხედეთ ერთი, როგორ ვანიავებთ მომენტებს და სამაგიეროდ, საჩუქრებივით ვარიგებთ გოლებს — უთხრა ფიოლერმა პოპულარულ „ბილდს" — ასეთი შეცდომები არ გვეკადრება. ახლა მეც სიამოვნებით ვითამაშებდი ამ გუნდის თავდასხმაში და დარწმუნებული ვარ, სულ ცოტა, ორ გოლს მაინც გავიტანდი".

ფიოლერმა ეს აღარ იკმარა და თავისი გუნდი მთლად მიწასთან გაასწორა: „ეს საშინელებაა, საბავშვო ბაღში ხომ აღარ ვართ?! თუ შეცდომას ვუშვებთ, ბევრი უნდა ვიმუშაოთ ამის გამოსასწორებლად".

მოკლედ, „ლევერკუზენში" დიდი ამბებია...

**ნინო სილაგაძე**

# ტურინში კაცი დაჭრეს

## რა ხდება იტალიაში?

„იუვენტუსი" — „ნაპოლის" გუშინდელი მატჩის წინ მავანი იტალიელი ფანი ფეხში დაჭრეს და სტადიონის ნაცვლად საავადმყოფოში აღმოჩნდა. უცნობია, რომელი გუნდის ქომაგია დაშავებული და რამდენად მძიმეა ჭრილობა.

ტურინელ და ნეაპოლელ გულშემატკივრებს შორის ჩხუბი სტადიონთან ახლოს მოხდა, არადა, იტალიის მთავრობამ წინა კვირაში მიიღო ახალი კანონი, რომლითაც ხულიგნობა უნდა აღეკვეთა.

**ვაჟა ხუციშვილი**





## ფრინგსის ტურინელი სტუმრები

**ამ კვირაში** „იუვენტუსი" „ვერდერთან" ტორსტენ ფრინგსის ტრანსფერზე მორიგებას ეცდება. „ტუტოსპორტის" ინფორმაციით, ბრემენში ტურინიდან ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგა, სპორტული მენეჯერი ალესიო სეკო და გენერალური დირექტორი ფრანჩესკო ჯანელო გაემგზავრებიან.

ფრინგსმა უკვე შეათანხმა პირადი კონტრაქტის პირობები და „იუვესგან" წელიწადში 2 მილიონ 300 ათას ევროს მიიღებს.

„ვერდერი" ფეხბურთელში 10 მილიონს ითხოვს, ტურინელები კი 7-ს და ზედაც რობერტ კოვაჩს სთავაზობენ.

## ბუცებისთვის მანჩესტერში

**მიუნხენის** „ბაიერნიდან" „მანჩესტერში" ოუენ ჰარგრივსის გადასვლით დაინტერესებულია „ნაიკი". წინა კვირას ფეხბურთელმა ამ ფირმასთან გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ ჯერ ბუცებს ვერ ჩაიცვამს, რადგან „ბაიერნს" ხელშეკრულება აქვს „ადიდასთან" — ეროვნული ნაკრების მატჩებზე აკრძალვა არ მოქმედებს, მაგრამ კლუბში ჰარგრივსი ვალდებულია, ადიდასური „პრედატორებით" ითამაშოს.

„მანჩესტერში" გადასვლის შემთხვევაში პრობლემა მოგვარდება, ვინაიდან ინგლისური გუნდიც „ნაიკთან" თანამშრომლობს.

## მამა ჩაწიხლეს

**მოლდოვური** „ზიმბრუსა" და „შერიფის" სათასო ნახევარფინალური მატჩის წინ, სტუმარი ფეხბურთელის სემიონ ბულგარუს მამა პოლიციამ მიბეგვა.

უფროსი ბულგარუ ამტკიცებს, პოლიციამ იმიტომ დამიჭირა, რომ „შერიფის" სახელს გავყვიროდი, თან სრულიად ფხიზელი ვიყავიო. მამა განყოფილებაში წაიყვანეს და მისივე თქმით, წიხლქვეშ გაიგდეს. დაზარალებული ჩივილს აპირებს...

## თხა ორ მილიონად

„**ლევერკუზენი**" ლუკას სინკევიჩისთვის ბრძოლაში ჩაერთო. „კიოლნის" 21 წლის მცველს კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს და მისი ფასი დაახლოებით 2 მილიონი ევროა.

„თხები" ამ სეზონში ბუნდესლიგაში გადასვლას ვერ შეძლებენ, სინკევიჩი კი თანახმაა, გუნდი გამოიცვალოს.

## დიდი მალდინის კრუზი

**იტალიური** „ლა რეპუბლიკას" ვერსიით, „მილანი" მიუნხენის „ბაიერნიდან" როკე სანტა კრუზის ყიდვას აპირებს, რომელიც სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო ამ ზაფხულს მიუნხენიდან მიდის.

„მილანის" სკაუტთა შეფი ჩეზარე მალდინი და კლუბის გენერალური დირექტორი არიედო ბრაიდა პარაგვაელ ფორვარდს დიდი ხანია აკვირდებიან.

## კაბულის ორი უთვალთვალებს

„**არსენალი**" და „ლივერპული" დაინტერესებულნი არიან ოუნეს კაბულის შეძენით. „ოსერის" მცველი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და კლუბთან კონტრაქტი 2009 წელს ეწურება.

ზამთარში მის შეძენას „პორტსმუთი" ცდილობდა და „ოსერს" 4 მილიონ გირვანქას სთავაზობდა.

კაბულის ყიდვა „ლიონსაც" უნდა, რომელიც ერიკ აბიდალის შემცვლელს ეძებს.

## ჩაქუჩი შვიდ მილიონად

„**დეილი მეილის**" თანახმად, „ტოტენჰემი" მზადაა, 7 მილიონი ევრო გადაიხადოს დინ ეშტონში. „ვესტ ჰემის" ფორვარდი „მამლებს" აპრილში მიდის შემცვლელად სურთ, რადგან ეგვიპტელი ზაფხულში „მანჩესტერ სიტიში" გადასვლას აპირებს.

პრემიერლიგიდან „ჩაქუჩების" გავარდნის შემთხვევაში ეშტონი ალბათ არ ისურვებს გუნდში დარჩენას, თუმცა ვესტჰემელთა პატრონი ეგერტ მაგნუსონი ფორვარდის შენარჩუნებას ეცდება, მიუხედავად იმისა, გავარდება თუ არა გუნდი პრემიერლიგიდან.

## დაგაჟული ფული რედინგისთვის

„**რედინგი**", შესაძლოა, ჰონკონგელმა მილიონერმა კარსონ იუნგმა იყიდოს — წერს „ნიუს ოფ ზე ვორლდი".

ჩინური გაზით ჯიბეგასქელებულმა ბიზნესმენმა „რედინგის" პატრონებს 120 მილიონი გირვანქა შესთავაზა.

ამას წინათ მანვე სცადა „შეფილდ უენსდეის" შეძენა, მაგრამ ახლა უკეთესი, პრემიერლიგის გუნდის ყიდვის ვარიანტი გამოუჩნდა.

## ვერა ფილიპოვნას სიკვდილი

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" პრეზიდენტ იური სიომინს დედა გარდაეცვალა. ვერა ფილიპოვნას გული ორშაბათს ღამის ორ საათზე გაჩერდა — 94 წლის ქალბატონს ინსულტი დაემართა და სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში, მაგრამ ვეღარ გადაარჩინეს.

იგი ორიოლში ცხოვრობდა და მოსკოვში შვილთან გადასვლას უარობდა.

როგორც გაირკვა, სიკვდილის წინა დღეს იური სიომინის სახლში მეზობელმა წყალი ჩაუშვა და ვერა ფილიპოვნასაც ამის გამო უნერვიულია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საწუწუნო არაფერი მაქვს

ეს გახლავთ ინტერვიუ თავდამსხმელთან, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სისწრაფით, გოლის ალღოთი და პარტნიორის გრძნობით. ამ ურუგვაელ ფორვარდს თავისი ქვეყნის ნაკრებში უამრავი მნიშვნელოვანი გოლი აქვს გატანილი. მათ შორის არის გოლები, რომლებმაც ურუგვაის ეროვნული გუნდი 2002 წლის მუნდიალზე გაიყვანა. ეს გახლავთ ფორვარდი, რომელმაც თავისი ნიჭი და ოსტატობა იტალიის, ინგლისისა და ესპანეთის სტადიონებზე დაამტკიცა, მაგრამ ბედმა დიდი გამოცდა მოუწყო: 2006 წლის 23 სექტემბერს, 34 წლის დარიო სილვას მონტევიდეოსთან ავარია შეემთხვა და... მარჯვენა ფეხი მოსაკვეთი გაუხდა. ეს სწორედ ის მარჯვენა ფეხი გახლდათ, რომელმაც თავდამსხმელის კარიერაში უმთავრესი როლი ითამაშა. მას მერე დარიო სილვა უფეხბურთოდ ცხოვრებას სწავლობს და fifa.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამაზეც არის საუბარი...




## ფეხმოჭრილმა დარიო სილვამ ცხოვრებას სხვა თვალით შეხედა

— სინიორ სილვა, როგორ გრძნობთ თავს დღეს, ავარიიდან ექვსი თვის შემდეგ?

— გულწრფელად გიპასუხებთ: კარგად ვარ და არაფერს განვიცდი. გასაოცარია, მაგრამ ბევრი რამ ისევეა, ადრე რომ იყო. უფრო სწორად, იმის თქმა მინდა, რომ ისევ ის პიროვნება ვარ, გონებაში ძველი ფიქრები მიტრიალებს. რასაკვირველია, არის ისეთი საკითხებიც, რომელთაც დღევანდელი გადასახედიდან სხვანაირად ვუყურებ, მაგრამ ეს უკეთესია. დღეს ადრინდელთან შედარებით გაცილებით მეტი გეგმა მაქვს და ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამ მინდა შევცვალო, რასაც ავარია რომ არა, ვერ შევცვლიდი.

— მაგალითად?

— ასე გეტყვით: დღეს დრო გაცილებით მეტი რამისთვის მრჩება, ადრე კი ის არასდროს მყოფნიდა. გეგმები მქონდა, როგორ არა, მაგრამ დღეებს ფეხბურთი მართმევდა და ამ გეგმებს გვერდით ვუვლიდი, ახლა კი დილით ადრე ვიღვიძებ და ყველაფერს ვასწრებ. იცით, როდესაც ადამიანი ფეხბურთის თამაშს თავს ჩვეულებრივად ანებებს ამდენ დროს ვერ პოულობს.

— თუ შეიძლება, ორი სიტყვით გვითხარით, რით ხართ დღეს დაკავებული...

— ბევრი რამით. მაგალითად, ადრე ნიჩბოსნობისთვის არ მეცალა. მართალია, ჯერ ცოტა კიდევ უნდა დავიცადო, პროთეზი კარგად უნდა მომერგოს, მერე კი წყალზე აქტიურად ვარჯიშსაც შევუდგები. ჯერჯერობით, წყალზე გასვლამდე, დარბაზში ვმუშაობ და ოლიმპიადაზე ვფიქრობ. ადრე თუ გვიან ოლიმპიურ თამაშებში უნდა მივიღო მონაწილეობა. კავშირი არც ფეხბურთთან გამიწყვეტია, ურუგვაელ ახალგაზრდებს ვავარჯიშებ და ტელეპროგრამებშიც გამოვდივარ. მოკლედ, თავისუფალი წუთი არ მაქვს.

— ფეხბურთს კი ველარ თამაშობთ. რა განიჭებთ უდიდეს სიამოვნებას?

— შვილებთან ყოფნა. შაბათ-კვირის მათთან გატარება საოცრებაა. ავარიის შემდეგ ძალიან განვიცდიდი, რომ ჩემი უმცროსი ვაჟი, დიეგო ვერასდროს მნახავდა „დიდ სტადიონზე“ — ასე ეძახის თავად. სამწუხაროდ, ამას უნდა შევეგუო, რადგან ველარაფერს მოვუხერხებ, თუმცა, რომ გაიზრდება თავად მიხვდება, რატომ ვერ შევუსრულე დანაპირები. დასკვნები თავად გააკეთოს.

— ფაქტია, ის იამაყებს მამით, რომელსაც უმძიმეს დღეებში უტეხი სულის გამომჟღავნება შეუძლია...

— ჰო, ეს ბევრმა მითხრა, ჟურნალისტებით დაწყებული სრულიად უცნობი ადამიანებით დამთავრებული. ჩემმა ახლობლებმა კარგად იციან, რომ ნებისმიერ სირთულეს თავაწეული ვეგებები. აი, ახლაც, მიხარია, რომ მუხლჩაუხრელი ვმუშაობ და ვგრძნობ, რომ, რასაც ვაკეთებ, საჭიროა.

— დღევანდელი გადასახედიდან თქვენი კარიერა როგორ ჩანს?

— რა მაქვს საწუწუნო? მსოფლიოს უდიდეს ლიგებში ვითამაშე და ყოველ მათგანში გოლები გავიტანე. გარდა ამისა მივიღე მონაწილეობა მსოფლიოს ჩემპიონატში, რაც საკუთარი თავისთვის ამოცანად მქონდა მიცემული. ერთადერთი, 2002 წლის მუნდიალზე უფრო შორს მინდოდა წასვლა, მაგრამ ურუგვაის ნაკრებმა ეს ვერ შეძლო და დღეს ამაზე ჩივილს არანაირი აზრი არ აქვს.

— ალბათ, კიდევ დარჩა რაღაც, რაზეც გული გწყდებათ...

— მართალია, ისეთ ევროპულ კლუბში, რომელმაც ჩემპიონის ტიტული მოიგო, არასდროს მითამაშია, მაგრამ რასაც მივაღწიე, დიდებული გახლდათ. კარგი იქნებოდა, მადრიდის „ატლეტიკოშიც“ რომ გამეგორებინა ბურთი. ამ გუნდს ჰყავს ქომაგები, რომლებიც სიმღერას თამაშის დასაწყისში რომ იწყებენ, ბოლომდე არ ჩუმდებიან. ისინი ცოტათი არგენტინელებს და ურუგვაელებს ჰგვანან. მოკლედ, ამ გუნდში გადასვლის შესაძლებლობა მქონდა, მაგრამ „მალაგაში“ დავრჩი, გუნდში, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ.

— ეს თქვენი კარიერის საუკეთესო გუნდი იყო?

— რა თქმა უნდა. პატარა კლუბი ვიყავით, მაგრამ ისე ვყოჩაღობდით, რომ ინტერტოტოს თასიდან უეფას თასის მეოთხედფინალამდე ვიარეთ. ეს წარმატება მწვრთნელ ხოაკინ პეიროზე იყო დიდად დამოკიდებული — ის დიდებული მწვრთნელია. თქვენ წარმოიდგინეთ, იშვიათად, ვარჯიშის გუნებაზე თუ არ ვიყავი, შინ მიშვებდა. მახსოვს, პერიოდულად ჩინებულ კომბინაციებს ვათამაშებდით და მეორე დღეს პრესაში ვკითხულობდით, ამ კომბინაციებს ისინი, ალბათ მთელი კვირის განმავლობაში ამუშავებდნენო, არადა, ის თამაშებზე სრულ თავისუფლებას გვაძლევდა. მინდა სწორედ ასეთი მწვრთნელი გავხდე, თუმცა ასეთ მწვრთნელს შესაფერისი ფეხბურთელებიც სჭირდება.

— საფრანგეთში კი 2002 წლის მუნდიალზე მათ ნაკრებთან ნათამაშევი 0:0-ით ეხსომებით...

— ძნელი თამაში იყო. საფრანგეთს მარსელ დესაი და პატრიკ ვიეირა ჰყავდა და მათთან გამკლავება ჭირდა. ჩემზე ბევრს უთქვამს, რომ ამა თუ იმ მცველს არასდროს დავუჩაგრივარ. თუ ვინმე მეკვეთებოდა, შემდეგ ჯერზე ვუბრუნებდი ხურდას. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხურდა მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ დასაბრუნებელი.

— საფრანგეთთან ის 0:0 ურუგვაისთვის განსაკუთრებული იყო?

— სამივე თამაში განსაკუთრებული გახლდათ, თუმცა ფრანგები მაშინ მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ და ეს მათთან თამაშს ეშხს ჰმატებდა. სამწუხაროდ, შემდეგ ეტაპზე ვერც ჩვენ გავედით და ვერც ფრანგები. იმ ჩემპიონატზე ბევრი დიდი გუნდი ჩაფლავდა, მაგალითად, არგენტინა.

— კარიერის მანძილზე მეტოქეებთან ხშირად მოგსვლიათ შელაპარაკება...

— მე ყოველთვის ბევრს ვლაპარაკობდი და ამით საკუთარ თავს ვმუხტავდი. თამაშების დაძაბვა მიყვარდა, განსაკუთრებით, ესპანეთში. მეტოქეები მდგომარეობიდან გამომყავდა, მათ კონცენტრაციას ვაკარგვინებდი. ბევრი გამიგიჟებია. მესიჯებიც კი მომსვლია, ერთი სული მაქვს, შემდეგი თამაში როდის მოვა, ჭკუა რომ გასწავლოო.

— იქნებ გვითხრათ, მაინც რას ეუბნებოდით მოწინააღმდეგეებს ასეთს?

— ვაღიზიანებდი. ვეუბნებოდი, რომ ურჩხული ვარ და მათ ჩემთან გამკლავების შანსი არ აქვთ. ზოგს ეცინებოდა, ზოგიც ბრაზდებოდა, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ვაბნევდი, რადგან სანამ ისინი ჩემს ნათქვამზე ფიქრობდნენ, მე მომენტს ვიხელთებდი და უკან ვიტოვებდი ხოლმე.

— რომელიმე განსაკუთრებული შემთხვევა გაიხსენეთ...

— მაშინ „მალაგასა“ და „რეალის“ ერთი დაპირისპირების ამბავს მოგიყვებით, ის ფერნანდო იეროსთან არის დაკავშირებული. ვიცოდი, რომ იერომ კარიერა „მალაგაში“ დაიწყო, ამიტომ, თამაშის წინ მოთელვისას მივედი და ვუთხარი, შენ „მალაგასთვის“ იმდენი არ გაგიკეთებია, მე რომ გავაკეთე, წარმატებებს „რეალში“ გადასვლის შემდეგობა მიაღწიე, ჰოდა, ახლა მოედანზე [illegible] და, როგორც ძალიან ხშირად, [illegible] ჩამოგვ[illegible] დაიწყო თამაში და, თხუთმეტი წუთი არ იყო გასული, რომ იეროს დავუსხლტი და ბურთი ძელს გავარტყი. იერო გამწარდა, გამომედევნა და ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომ დამშავდა. შესაცვლელი გახდა. რომ გადიოდა მივედი და ვუთხარი: ხომ გეუბნებოდი?!

ის თამაში 2:1 მოვიგეთ, მაგრამ იეროს გაღიზიანება ამით დავასრულე, რადგან მას, როგორც დიდ ფეხბურთელს და პროფესიონალს, პატივს ვცემდი და ვცემ.

— რაკი ესპანეთზე ვლაპარაკობთ ამდენს, „სევილიაზეც“ გკითხავთ...

— „სევილიაში“ რომ მივედი, განვაცხადე, თამაშს ანდალუზიის საუკეთესო გუნდში ვიწყებ-მეთქი. დღევანდელი „სევილია“ ამის დადასტურებაა. გუნდმა 2006 წელს უეფას თასი მოიგო და ესპანეთის პირველობაზე ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვებასთან არის ძალიან ახლოს. ამ გუნდში უამრავ მიზეზთა გამო დიდხანს მინდოდა დარჩენა, ამ მიზეზებს შორის კი ერთ-ერთი უმთავრესი კლუბის პრეზიდენტი და ჩემი მეგობარი ხოსე მარია დელ ნიდო გახლავთ. მაისში ესპანეთში ჩასვლასა და „სევილიას“ ბოლო ორ თამაშზე დასწრებას ვაპირებ.

— ახლა კი ურუგვაის დავუბრუნდეთ. რა სჭირდება თქვენი ქვეყნის ფეხბურთს?

— ცვლილებები. პირადად მე გავიხარებდი, ჩვენი კლუბების პრეზიდენტებმა ყოველ სეზონში ნახევარი მილიონი დოლარის დახარჯვა რომ იკისრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვა, კლუბები ღარიბებად დარჩებიან და სატელევიზიო უფლებებს იქნებიან შეჩერებულნი. ჩვენში ფეხბურთელები ვარჯიშებამდე სხვა სამსახურებშიც კი დადიან.

— თქვენ თუ ხედავთ საკუთარ თავს დარგის ერთ-ერთ მომავალ მმართველად?

— არა, არა. მე მეორე ლიგის ერთ-ერთი გუნდის მენეჯერობა შემომთავაზეს. პატრონებს უნდათ, ეს გუნდი პირველ დივიზიონში ალვაზევოთ. აი, ეს არის ის საქმე, რომელსაც სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს.

— და მწვრთნელობა?

— არ მინდა, ისევ იმ ყოველდღიურობაში შევყო თავი. მომბეზრდა საწვრთნელი შეკრებები. ნუ, თუ ვინმე იმაზე დამყაბულდება, რომ ყოველ საღამოს შინ წამოვიდე (იცინის)... მაგრამ ეს მაინც და მაინც პროფესიული მიდგომა ვერ იქნება, ხომ მართალია?

— და ბოლოს, ხუთი ან ათი წლის შემდეგ რომ შევხვდეთ ერთმანეთს, როგორ ფიქრობთ, რანაირი დარიო სილვა მისცემს იმ ინტერვიუს?

— ასეთივე, ოღონდ, იმედი მაქვს, ნიჩბოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონი. კვლავ მეგობრული, ღიმილიანი და იუმორით აღსავსე ვიქნები. ასეთი ვარ მთელი ჩემი ცხოვრება და ვერაფერი შემცვლის...

# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 9 | არსენალი-ბოლტონი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 18:00 | 11 | სიტი-ლივერპული | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 18:00 | 13 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:00 | 14 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 18:00 | 15 | რედინგი-ფულემი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 18:00 | 16 | შეფილდი-ვესტ ჰემი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 17 | უიგანი-ტოტენჰემი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 18:00 | 18 | ევერტონი-ჩარლტონი | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 31 | ვესტ ბრომვიჩი-უენსდეი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 32 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 33 | კრ. პალასი-ვულვზი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 34 | კარდიფი-სტოკი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 35 | ქოვენთრი-პრესტონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 36 | ჰალი-კოლჩესტერი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 37 | იფსვიჩი-დერბი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 38 | ლიდსი-ბარნსლი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 39 | ლესტერი-ნორვიჩი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 18:00 | 40 | ლუტონი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 41 | საუთენდი-ბარნსლი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 18:00 | 42 | სანდერლენდი-ქპრ | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 103 | ნორთვიჩი-დაგ ენდ რედი | 2.70 | 3.40 | 2.20 | 1.50 | 1.21 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 117 | ჰამილტონი-გრეტნა | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 18:00 | 118 | პარტიკი-დანდი | 2.45 | 3.40 | 2.40 | 1.42 | 1.21 | 1.40 |
| 18:00 | 119 | ქუინი-ლივინგსტონი | 2.15 | 3.40 | 2.75 | 1.31 | 1.20 | 1.52 |
| 18:00 | 120 | როსი-ეირდრი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 121 | ალოა-კოუდენბითი | 2.20 | 3.40 | 2.70 | 1.33 | 1.21 | 1.50 |
| 18:00 | 122 | ეარი-სტირლინგი | 2.75 | 3.40 | 2.15 | 1.52 | 1.20 | 1.31 |
| 18:00 | 123 | ბრეჩინი-პიტერჰედი | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |
| 18:00 | 124 | რეითი-მორტონი | 3.90 | 3.60 | 1.70 | 1.87 | 1.18 | 1.15 |
| 18:00 | 125 | სტრანრარი-ფორფარი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 126 | ალბიონი-ბერიკი | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| 18:00 | 127 | არბროთი-ქუინზ პარკი | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 18:00 | 128 | დამბარტონი-მონტროუზი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 18:00 | 129 | ელგინი-ისტ სტირლინგი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| 18:00 | 130 | სტენჰაუსმუირი-ისტ ფაიფი | 2.80 | 3.40 | 2.15 | 1.53 | 1.21 | 1.31 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 131 | გლადბახი-ჰამბურგი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 132 | ნიურნბერგი-ალემანია | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| 17:30 | 133 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| 17:30 | 134 | არმინია-აინტრახტი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 17:30 | 135 | ბოხუმი-ჰერტა | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 17:30 | 136 | კოტბუსი -ვოლფსბურგი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 17:30 | 137 | მაინცი-შალკე | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 139 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.52 | 3.80 | 6.00 | 1.08 | 1.21 | 2.32 |
| 19:00 | 140 | დორტმუნდი-ვერდერი | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 19:45 | 183 | ბაზელი-სტ.გალენი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 19:45 | 184 | ლუცერნი-თუნი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:45 | 185 | იანგ ბოიზი-აარაუ | 1.35 | 4.40 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.70 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 186 | გრასჰოპერი-შაფჰაუზენი | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| 18:00 | 187 | სიონი-ციურიხი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 198 | ასკოლი-ლაციო | 9.00 | 3.80 | 1.37 | 2.67 | 1.18 | 1.00 |
| 17:00 | 200 | კალიარი-ემპოლი | 2.40 | 2.60 | 3.30 | 1.24 | 1.38 | 1.45 |
| 17:00 | 201 | ფიორენტინა-სიენა | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |
| 17:00 | 202 | ინტერი-პალერმო | 1.40 | 3.70 | 9.00 | 1.01 | 1.21 | 2.62 |
| 17:00 | 204 | ლივორნო-რეჯინა | 2.25 | 2.70 | 3.60 | 1.22 | 1.38 | 1.54 |
| 17:00 | 205 | მესინა-მილანი | 6.80 | 3.40 | 1.50 | 2.26 | 1.22 | 1.04 |
| 17:00 | 206 | პარმა-კატანია | 1.80 | 3.00 | 4.80 | 1.12 | 1.30 | 1.84 |
| 17:00 | 207 | რომა-სამპდორია | 1.45 | 3.40 | 8.50 | 1.01 | 1.23 | 2.42 |
| 17:00 | 209 | ტორინო-ატალანტა | 2.30 | 2.60 | 3.65 | 1.22 | 1.41 | 1.51 |
| 17:00 | 210 | უდინეზე-კიევო | 1.95 | 2.80 | 4.35 | 1.14 | 1.34 | 1.70 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 248 | ბეტისი-სოსიედადი | 1.95 | 3.10 | 3.80 | 1.19 | 1.28 | 1.70 |
| 22:00 | 253 | რასინგი-რეალი | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 244 | ბილბაო-ესპანიოლი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 20:00 | 245 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 21:00 | 246 | ბარსელონა-მალიორკა | 1.23 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.11 | 3.62 |
| 20:00 | 249 | სელტა-დეპორტივო | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 20:00 | 250 | ხეტაფე-ვილიარეალი | 2.15 | 3.10 | 3.25 | 1.26 | 1.29 | 1.58 |
| 20:00 | 251 | ტარაგონა-სარაგოსა | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| 20:00 | 252 | ოსასუნა-უელვა | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 23:00 | 255 | ვალენსია-სევილია | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| | | **პორტუგალია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 23:30 | 344 | სპორტინგი-მარიტიმუ | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 335 | აკადემიკა-პორტუ | 6.70 | 3.70 | 1.45 | 2.38 | 1.19 | 1.04 |
| 22:15 | 339 | ბელენენსეში-ამადორა | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 338 | ბოავიშტა-ლეირია | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 340 | ნასიონალი-ავეში | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 342 | ნავალი-ფერეირა | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 343 | სეტუბალი-ბეირა მარი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 16 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 337 | ბენფიკა-ბრაგა | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 353 | აეკ-ეგალეო | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| 20:00 | 354 | არისი-ერგოტელისი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 20:00 | 355 | ატრომიტოსი-პანიონიოსი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 20:00 | 357 | კალამარია-პანათინაიკოსი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 20:00 | 358 | ოფი-იონიკოსი | 1.12 | 6.80 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.46 |
| 20:00 | 360 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 4.00 | 3.00 | 1.95 | 1.71 | 1.31 | 1.18 |
| 20:00 | 361 | კერკირა-ირაკლისი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 20:00 | 362 | პაოკ-ქსანთი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 503 | ჩივასი-ტეკოსი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 23:45 | 504 | ტიგრესი-პაჩუკა | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 536 | ბაიერნი-მილანი | 2.27 | 3.20 | 3.10 | 1.32 | 1.31 | 1.57 |
| 22:45 | 537 | ლივერპული-პსვ | 1.50 | 3.50 | 7.30 | 1.04 | 1.24 | 2.36 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 22:45 | 539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 22:45 | 540 | ტოტენჰემი-სევილია | 2.05 | 3.10 | 3.45 | 1.23 | 1.28 | 1.63 |
| 22:45 | 541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 20:30 | 542 | უოტფორდი-მანჩესტერი | 10.00 | 5.10 | 1.26 | 3.37 | 1.11 | 1.01 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 543 | ბლექბერნი-ჩელსი | 5.75 | 3.50 | 1.58 | 2.17 | 1.23 | 1.08 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 15:30 | 687 | სტ.ჯონსტონი-სელტიკი | 8.00 | 4.70 | 1.30 | 2.96 | 1.11 | 1.01 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 688 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| | | **იაპონია. თასი** | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 14:00 | 551 | ნიიგატა-კოფუ | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 552 | ტოკიო-ივატა | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 14:00 | 553 | იჩიჰარა-გამბა | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| 14:00 | 554 | კაშიმა-ნაგოია | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 14:00 | 555 | ომია-იოკოჰამა ფმ | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 14:00 | 556 | შიმიცუ-კაშივა | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 14:00 | 557 | კობე-ჰიროსიმა | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 14:00 | 558 | იოკოჰამა ფკ-ოიტა | 2.45 | 3.00 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 544 | ბეშიქთაში-ფენერბაჩე | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 17:00 | 685 | ტრაბზონი-ერჯიესი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 689 | გროცლინი-კრაკოვია | 1.95 | 3.00 | 3.65 | 1.18 | 1.27 | 1.64 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 545 | ლიუნგბიუ-ჰორსენსი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 21:00 | 546 | ოდენსე-რანდერსი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:00 | 547 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 3.50 | 3.30 | 2.00 | 1.69 | 1.27 | 1.24 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 548 | ინტერი-ლაჰტი (ნ) | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | 11 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 562 | ლიბერტადი-ამერიკა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 563 | აუდაქსი-ნეკახა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 564 | კუკუტა-გრემიო | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 565 | ნასიონალი მ-ველესი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 23:45 | 566 | ბოლივარი-ტოლუკა | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

18536 ბაიერნი-მილანი ------------------ 1.38 -------- 2.60
18538 ვერდერი-ალკმაარი --------------- 1.40 -------- 2.50
18540 ტოტენჰემი-სევილია -------------- 2.10 -------- 1.60
18541 ბენფიკა-ესპანიოლი --------------- 1.70 -------- 1.90

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10536 | ბაიერნი-მილანი | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10537 | ლივერპული-პსვ | 1.85 | 2.10 | 7.50 | 1.00 | 1.48 | 1.64 |
| 10538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.85 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.60 |
| 10539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 2.15 | 2.00 | 5.00 | 1.03 | 1.50 | 1.42 |
| 10540 | ტოტენჰემი-სევილია | 2.50 | 2.00 | 3.85 | 1.11 | 1.51 | 1.31 |
| 10541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 2.15 | 2.00 | 5.20 | 1.03 | 1.52 | 1.44 |
| 10542 | უოტფორდი-მანჩესტერი | 9.00 | 2.70 | 1.55 | 2.07 | 1.32 | 1.00 |
| 10543 | ბლექბერნი-ჩელსი | 6.00 | 2.20 | 1.90 | 1.60 | 1.44 | 1.01 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11536 | ბაიერნი-მილანი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.20 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11537 | ლივერპული-პსვ | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11540 | ტოტენჰემი-სევილია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11542 | უოტფორდი-მანჩესტერი | 14.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.50 |
| 11543 | ბლექბერნი-ჩელსი | 12.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 2.05 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15536 | ბაიერნი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15537 | ლივერპული-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15538 | ვერდერი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15540 | ტოტენჰემი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16536 | ბაიერნი-მილანი | 1.60 | 2.05 |
| 16537 | ლივერპული-პსვ | 1.10 | 5.30 |
| 16538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.15 | 3.90 |
| 16539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.20 | 3.40 |
| 16540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.45 | 2.30 |
| 16541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.20 | 3.40 |
| 16543 | ბლექბერნი-ჩელსი | 4.20 | 1.12 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17536 | ბაიერნი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17537 | ლივერპული-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17542 | უოტფორდი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17543 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12536 | ბაიერნი-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12537 | ლივერპული-პსვ | 1.60 | 2.00 |
| 12538 | ვერდერი-ალკმაარი | 2.00 | 1.60 |
| 12539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 12540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12542 | უოტფორდი-მანჩესტერი | 2.00 | 1.60 |
| 12543 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13536 | ბაიერნი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13537 | ლივერპული-პსვ | 1.90 | 1.70 |
| 13538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.70 | 1.90 |
| 13539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13542 | უოტფორდი-მანჩესტერი | 1.90 | 1.70 |
| 13543 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14536 | ბაიერნი-მილანი | 1.80 | 2.00 |
| 14537 | ლივერპული-პსვ | 1.20 | 2.60 |
| 14538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.20 | 2.60 |
| 14539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.45 | 2.40 |
| 14540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.70 | 2.10 |
| 14541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.45 | 2.40 |
| 14542 | უოტფორდი-მანჩესტერი | 2.90 | 1.03 |
| 14543 | ბლექბერნი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |

## რაგბი

UNDER 19 WORLD CHAMPIONSHIP

### 19-წლამდელთა მსოფლიოს თასი ბელფასტი. 4-16 აპრილი

# ქართველები ზიმბაბვესთან დაიბნენ

### საქართველო 26:33 ზიმბაბვე

**ბელფასტში** მიმდინარე 19-წლამდელთა მსოფლიოს თასზე ქართველმა ჭაბუკებმა რუმინეთის 28:0 მოგებას ზიმბაბვესთან დასანანი მარცხი მიაყოლეს. ქართველებმა აფრიკელებთან მოულოდნელად 26:33 წააგეს, მაგრამ 7 და ნაკლები ქულით მარცხისთვის პრემიალური ქულა მაინც აიღეს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენები B დივიზიონში თამაშობენ და ელიტარულ ჯგუფში დასაწინაურებლად იბრძვიან. ქართველები ჯგუფში აშშ-ს და კანადასთან ერთად მოხვდნენ, თუმც ტურნირის ფორმატით სხვა ჯგუფულებს ეთამაშებიან და მათთან ნაჩვენები შედეგით მხოლოდ ჯგუფის პირველადგილოსანი გადის პლეი ოფში. ახლა ჩვენებს 7 ქულა აქვთ და ერთი ქულით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხოლო კანადას — ორით.

ხვალ საქართველოს ნაკრები ბოლო ჯგუფურ მატჩს გამართავს რუსეთთან, რომელმაც კანადასთანაც წააგო და აშშ-სთანაც. ჩვენებს პრემიალურ ქულიანი მოგება მართებთ, პლეი ოფში გასასვლელი შანსი რომ შეინარჩუნონ.

### 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი დუბლინი. 2-14 აპრილი

# ძველი ამბავი: რუმინეთი და ჩვენ

### საქართველო 7:10 რუმინეთი

**ამ უიქენდზე** დასრულდა 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩი 7:10 წააგო რუმინეთთან და საბოლოოდ მე-6 ადგილი დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენები ელიტარულ რვა გუნდში იყვნენ, რომლის გამარჯვებული ხდებოდა კიდეც კონტინენტის სეფე გუნდი. ქართველების მიზანი ელიტიდან არგავარდნა იყო, რაკი საფრანგეთის, ირლანდიის, ინგლისის და იტალიის დარ გრანდებთან საპლეიოფო ბრძოლა ამ ეტაპზე წარმოუდგენელია.

ჩვენმა 18-წლამდელებმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს. აი, მე-5 ადგილის დაკავება კი შეეძლოთ, მაგრამ, რუმინელებთან ბოლო წუთზე გაშვებული საჯარიმოთი დამარცხდნენ.

ევროპის ჩემპიონი კი საფრანგეთი გახდა, რომელმაც ფინალში ირლანდიას მატჩისშემდგომი არეკნებით მოუგო. ფინალის ძირითადი და დამატებითი დრო 8:8 დასრულდა.

**ბაჩო სვანიძე**

## ჭადრაკი

### ქალთა და კაცთა ევროპის ჩემპიონატები დრეზდენი, გერმანია. 2-16 აპრილი

# თეთრი ადელა გაშავდა

**უკრაინელმა** ანდრეი ვოლოტკინმა რუს სერგეი ვოლკოვს თეთრი ფიგურებით მოუგო და ცხრილის თავში მარტოდმარტო გაბატონდა. ვოლოტკინს ახლა 6 ქულა აქვს და უახლოეს მდევრებს ნახევარი ქულით უსწრებს.

წინ მიიწევს დავით შენგელია. ქართველმა დიდოსტატმა, რომელიც ჩემპიონატზე 165-ე ნომრადაა განთესილი, 5 ქულა დააგროვა და ლიდერს ერთ ქულამდე მიუახლოვდა.

მეშვიდე ტურში შენგელიამ თეთრი ფიგურებით ალექსანდრ ხალიფმანს მოუგო და 28-ე ადგილზე აღზევდა.

ქალებში ტატიანა კოსინცევა პირველობს. რუსმა ქალბატონმა შვიდიდან შვიდივე შეხვედრაში იმარჯვა, ქულათა მაქსიმუმი დააგროვა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

ჩვენი მანდილოსნებიდან ყველაზე უკეთ ლელა ჯავახიშვილი ასპარეზობს. მეშვიდე ტურში საქართველოს ჩემპიონმა შავი ფიგურებით კრისტინა ადელა ფოისორი დაამარცხა და 5,5 ქულით მესამეზე აინაცვლა.

მეტოქეებმა მე-5 სვლაზე როქი გააკეთეს და მერე ჯავახიშვილმა ლაზიერის მხარეს გადასხა ძალები, მსუბუქი ფიგურები საომრად მომართა და თეთრებს შეუტია. ქართველმა მძიმე დარტყმები მიაყენა მეტოქეს, 31-ე სვლაზე ხარისხი წაართვა და წყობაც მოუშალა. ჯავახიშვილმა კიდევ უფრო განავითარა შეტევა, ამასთან b ხაზის პაიკი დაძრა წინ და 62-ე სვლაზე ლაზიერად აქცია. ფოისორმა ახლადამოჩეკილი დედოფალი მაშინვე მოკლა, თუმც ამით საქმეს ვერ უშველა და კიდევ უფრო სავალალო სიტუაციაში აღმოჩნდა. ჩვენებური ხელმწიფის ფლანგზე შემორჩენილ თეთრ პაიკებს დაერია, ყველა დახოცა და მე-80 სვლაზე ქულა აიღო.

**ლუკა გეგეჭკორი**

### VII ტური

#### კაცები

| | | |
|---|---|---|
| ვლადიმირ ჩუჩელოვი (ბელგია) | 0:1 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) |
| ლუტცი ესპინგი (გერმანია) | 0:1 | დავით ლობჟანიძე (საქართველო) |
| რომან სლობოდიანი (გერმანია) | 1:0 | ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ალექსანდრ ნაუმანი (გერმანია) |
| დავით შენგელია (საქართველო) | 0,5:0,5 | ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) |
| თორნიკე სანიკიძე (საქართველო) | 0,5:0,5 | სტელიოს ჰალკიასი (საბერძნეთი) |
| ვიტალი კუნინი (გერმანია) | 0:1 | გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო) |
| ევგენი ნაიერი (რუსეთი) | 0:1 | დავით არუთინიანი (საქართველო) |
| კონსტანტინე შანავა (საქართველო) | 0,5:0,5 | გაბრიელ სარქისიანი (სომხეთი) |

#### ქალები

| | | |
|---|---|---|
| სოფიკო გურამიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ელენა ჩერედნიჩენკო (უკრაინა) |
| ლენა დანიელიანი (სომხეთი) | 1:0 | ნინო ხურციძე (საქართველო) |
| იოვანკა ჰოუსკა (ინგლისი) | 1:0 | ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) |
| ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 1:0 | ანა შარევიჩი (ბელგია) |
| კრისტინა ადელა ფოისორი (პოლონეთი) | 0:1 | ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) |
| სოფიო გვეტაძე (საქართველო) | 0,5:0,5 | ალექსანდრა სტირი (საბერძნეთი) |
| მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 1:0 | ირინა ჩელუშკინა (სერბია) |
| სოფიკო ხუხაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) |
| მარიამ დანელია (საქართველო) | 1:0 | იოანა-სმარანდა პადურარიუ (რუმინეთი) |

### სატურნირო ვითარება

#### კაცები

1. ანდრეი ვოლოკიტინი (უკრაინა) 6 ქულა
2. ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი) 5,5
3. რაველ ელჟანოვი (უკრაინა) 5,5
4. ალექსანდრ მისეენკო (უკრაინა) 5,5
5. ვლადისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი) 5,5

10. დავით არუთინიანი (საქართველო) — 5; 28. დავით შენგელია (საქართველო) — 5; 44. გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო) — 5; 72. ბაადურ ჯობავა (საქართველო) — 4,5; 89. მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) — 4,5; 169. კონსტანტინე შანავა (საქართველო) — 4; 213. თორნიკე სანიკიძე (საქართველო) — 3,5; 236. ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) — 3,5; 241 დავით ლობჟანიძე (საქართველო) — 3,5

#### ქალები

1.ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) 7 ქულა
2.ეკატერინა კორბუტი (რუსეთი) 5,5
3.ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) 5,5
4.ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) 5,5
5.ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 5,5

14. სალომე მელია (საქართველო) — 5; 17. მაია ლომინეიშვილი (საქართველო) — 5; 22. ნინო ხურციძე (საქართველო) — 4,5; 26. ნანა ძაგნიძე (საქართველო) — 4,5; 32. სოფიკო ხუხაშვილი (საქართველო) — 4,5; 42. ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) — 4; 66. სოფიო გვეტაძე (საქართველო) — 3,5; 90. მარიამ დანელია — 3,5; 107. სოფიკო გურამიშვილი (საქართველო) — 3

## ქართული ლეგიონი

# ნაცვლიშვილმა დიჟონი რჩეულში ჩაწერა



ვახტანგ ნაცვლიშვილი აღარ ხუმრობს — მრავალი და მძიმე ტრავმების შემდეგ ის კვლავ წინამძღოლობს საფრანგეთის საპლეიოფო გუნდ „დიჟონს“. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ახლახან მოირჩინა ფეხი და აგერ, ამ უქმეებზე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გამოაცხო — „დიჟონმა“ სტუმრად „ტულონს“ რომ სძლია, ნაცვლიშვილი 18 ქულით ბომბარდირი გახდა.

ამ გამარჯვებით დიჟონელები ფრანგულ ლიგაში მე-8 ადგილზე გამაგრდნენ და პლეი ოფს უმიზნებენ. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მწვრთნელის გორდონ ჰერბერტის „პო ორტეზს“, ეს გუნდი მე-6 ადგილზეა და დღითიდღე პროგრესირებს.

მორიგი ქულუხვობა გამოავლინა მანუჩარ მარკოიშვილმა, ვისი „ოლიმპიაც“, რაც ადრიატიკის ლიგიდან სლოვენიურში გადაერთო, წაუგებელია. გასულ კვირაში ლიუბლიანელებმა ორი მატჩი მოიგეს, რომელთაგან ერთში ქართველი განსაკუთრებით გამოირჩა. ოლიმპიელებმა აუტსაიდერ „ზლატოროგს“ 91:81 რომ მოუგეს, მანუმ კი 33 წუთში 20 ქულა მიითვალა.

სერია A-ს უთუმცაო ლიდერმა „სიენამ“ მორიგი გამარჯვება მიითვალა, თუმც ვლადიმერ ბოისას ამაში დიდი წვლილი არ მიუძღვის. ვოვამ 7 წუთი დაყო მოედანზე და ოდენ 1 მოხსნა გაახერხა.

სამაგიეროდ, იტალიაში ტაირონ ელისი გამოირჩა, რომელმაც თავის „ნაპოლის“ „დორლანდოს“ ძლევაში 11 ქულით შეეხიდა. ნეაპოლელებიც პლეი ოფს უმიზნებენ და ალბათ აისრულებენ კიდეც საწადელს.

ერთთვიანი უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ვიქტორ სანიკიძე, რომელმაც ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა. გასაკვირი არც ყოფილა, ნაოპერაციევი სანიკიძე მცირე ხნით რომ გამოჩნდა მოედანზე — მან „ბრუესას“ წინააღმდეგ 4 წუთი ითამაშა და „ესტუდიანტესს“ მხოლოდ ერთი პასით შეეწია.

ტრავმა მიიღო ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც „ნიუ ჯერსისთან“ მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ფეხი იტკინა და ამის გამო მომდევნო შეხვედრაშიც არ უთამაშია. მიუხედავად ტრავმისა, ზაზა 18 ქულით ატლანტელთაგან მაინც ბომბარდირი გახდა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | ზლატოგორი<br>ელექტრა | შ<br>ს | 91:81<br>81:64 | 33<br>24 | 20<br>8 | 3<br>3 | 2<br>4 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპ. | ტულონი | ს | 92:73 | 32 | 18 | 6 | 0 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ბიელა | შ | 100:92 | 7 | 0 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ესპანეთის ჩემპიონატი | ბრუესა | შ | 95:81 | 4 | 0 | 0 | 1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | ხუვენტუდი | შ | 74:87 | 20 | 6 | 1 | 1 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ბალტიის ლიგა | ატლეტასი | ს | 102:83 | 7 | 4 | 4 | 1 |
| ტაირონ ელისი | სიენა | სერია A | დორლანდო | შ | 79:77 | 22 | 11 | 3 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | ნიუ ჯერსი<br>მილუოკი | ს<br>შ | 86:101<br>115:102 | 31<br>არ უთამაშია | 18 | 4 | 4 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური




სუპერლიგის მესვეურებმა მორიგი წინასწარი შედეგები გამოაქვეყნეს — ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის მონაწილეთა შერჩევა ერთ კვირაში დასრულდება. ყველაზე მეტი ხმა კვლავინდებურად აზოტელ კოტე ტულუშს აქვს. ამ გამოკითხვამ ხუთეულები უნდა გამოავლინოს, ხოლო დანარჩენ 7-7 მოთამაშეს უშუალოდ მწვრთნელები დაასახელებენ. ოლ სტარი თავის სახალისო კონკურსებთან ერთად 28 აპრილს გაიმართება

### დავით უსტიაშვილის გუნდი (აზოტი, დინამო, მაკაბი)

უკანა ხაზი: 1. კოტე ტულუში (აზოტი) — 1294, 2. ლაშა გამყრელიძე (აზოტი) — 1 100,3 3. რამაზ გოგობერიშვილი (აზოტი) — 707, 4. გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო) — 670, 5. ზურაბ ბადრიძე (დინამო) — 506, 6. გიორგი დოლიძე (მაკაბი) — 498.

ფორვარდები: 1. გიორგი მარკოიშვილი (აზოტი) — 1 105, 2. ანატოლი ბოისა (აზოტი) — 994, 3. ლექსო ლაფანაშვილი (დინამო) — 670, 4. რევაზ დიდია (აზოტი) — 664, 5. დავით გვიმრაძე (დინამო) — 523, 6. ვლადიმერ ბეჟანიშვილი (აზოტი) — 417, 7. ჟულიენ ტუჯანი (აზოტი) — 401.

ცენტრები: 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) — 970. 2. დავით უგრეხელიძე (აზოტი) — 898. 3. ვიქტორ კოლუაშვილი (დინამო) — 519

### ლევან მოსეშვილის გუნდი (თბილავიამშენი, თსუ, სტუ)

უკანა ხაზი: 1. ბესიკ ლეჟავა (თსუ) — 1 101, 2. ბუბა ბერიშვილი (თსუ) — 813, 3. ნოდარ ბერაია (სტუ) — 730, 4. ირაკლი ხოშტარია (თბილავიამშენი) — 650, 5. ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი) — 592, 6. გიორგი ნიკოლაძე (თბილავიამშენი) — 459, 7. დავით ბერიშვილი (თბილავიამშენი) — 429.

ფორვარდები: 1. შიო ხეცურიანი (თსუ) — 1 072, 2. ზვიად ბაბიაშვილი (თბილავიამშენი) 798, 3. ლუკა შანიძე (თსუ) — 750, 4. ირაკლი კეიდია (თბილავიამშენი) 720, 5. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) — 592, 6. გიგი ბარბაქაძე (სტუ) — 469, 7. დავით იმნაძე (თსუ) 373.

ცენტრები: 1. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) — 1 042, 2. პლასიდე როდუმტა (თბილავიამშენი) — 691, 3. ლუკა ნოზაძე (სტუ) — 654.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნელს არ ესმის სიტყვა ნელი

10 აპრილი

**გოლდენ სტეიტი 126:102 იუტა**

გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (28), დევისი (18), ელისი (16), ბარნსი (16), ჰარინგტონი (15 ქულა, 11 მოხსნა)
იუტა: ბრიუერი (21), ბუზერი (17 ქულა, 11 მოხსნა), ჰარპრინგი (17)

**დალასი 96:86 კლიპერსი**

დალასი: ნოვიცკი (26), სტეკჰაუსი (18), ჰოვარდი (16)
კლიპერსი: მაგეტი (24), ბრენდი (20), ჰარტი (14)

**ნიუ იორკი 83:91 დეტროიტი**

ნიუ იორკი: კარი (24), რობინსონი (24)
დეტროიტი: ბილაფსი (22), ჰამილტონი (24)

**მილუოკი 94:117 ორლანდო**

მილუოკი: ილიასოვა (18), ბელი (13), უილიამსი (13)
ორლანდო: თურქოღლუ (25), არიზა (16), ჰოვარდი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**მინესოტა 100:111 ტორონტო**

მინესოტა: დევისი (28), გარნეტი (17 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (17)
ტორონტო: პარკერი (24), ბოში (16 ქულა, 13 მოხსნა), ფორდი (17 ქულა, 10 პასი)

**სან ანტონიო 112:96 პორტლენდი**

სან ანტონიო: პარკერი (30), დანკანი (15)
პორტლენდი: მაგლორი (19), როი (15)

**დენვერი 115:111 ლეიკერსი**

დენვერი: ენტონი (33), აივერსონი (24), კლეიზა (17)
ლეიკერსი: ბრაიანტი (23 ქულა, 10 მოხსნა)

**სიეტლი 90:95 ჰიუსტონი**

სიეტლი: ლუისი (20), უელაბალი (13), უილკოვსი (13), უილკინსი (13)
ჰიუსტონი: მინი (31), მაკგრეიდი (27), ალსტონი (16)

აგერ, ბატონო, თვალაც ხედავთ, რამდენს ნიშნავს გუნდისთვის კარგი მწვრთნელი. „გოლდენ სტეიტს“ მუდამ კარგი შემადგენლობა ჰყავდა, ყოველ შემთხვევაში, ბევრ კონკურენტზე შთამბეჭდავი, მაგრამ 1994 წლის შემდეგ, რაც დონ ნელსონმა მიატოვა, პლეი ოფი არც დასიზმრებია. ახლა მოხუცი ნელი კვლავ სან ფრანცისკოშია და „მეომრებიც“ ნელის გაწვდენაზე მიაახლოვა სანუკვარ პლეი ოფს. ახლა მათ მერვე ადგილი უჭირავთ დასავლეთში (38 მოგება, 40 წაგება) და თუ „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ აჯობეს (37 მოგება, 39 წაგება), მერე თავიანთ მწვრთნელს ძეგლი უნდა დაუდგან დარბაზის მთავარ ჰოლში.

ორშაბათს „გოლდენ სტეიტმა“ მორიგი რთული გამოცდა ჩააბარა, შინ პირდაპირ გაანადგურა დასავლეთის ერთ-ერთი ყოჩი „იუტა ჯაზი“. მასპინძლებმა დიდხანს არ იჭოჭმანეს, უკვე მეორე მეოთხედში გადავიდნენ საქმეზე. ეს პერიოდი 17 ქულით მოიგეს და მესამეში ყველაფერი მოთავებული ჰქონდათ.

ნაკლებად გაუმართლა „კლიპერსს“. ლოსანჯელესელები კარგ ფორმაში არიან და „გოლდენ სტეიტთან“ ბოლომდე იდავებენ პლეი ოფის ბოლო ბილეთისთვის, მაგრამ გუშინწინ ისინი კაციჭამია „დალასს“ შეეტაკნენ, დამარცხდნენ და მერვე პოზიცია „მეომრებს“ დაუთმეს. „დალასმა“ რეგულარულ ჩემპიონატში პირველობა და, აქედან გამომდინარე, პლეი ოფის ყველა ეტაპზე მოედნის უპირატესობა დაიბევა, მაგრამ მაინც არც თავად ისვენებს და არც სხვებს ასვენებს. „დალასმა“ შარშან 60 თამაშის მოგებით საკლუბო რეკორდი დაამყარა და მიუხედავად იმისა, რომ ახლა კარგა ხანია, ასცდა ამ რეკორდს (უკვე 64 მოგება აქვს), მაინც არ აპირებს გიჟური სრბოლის შენელებას.

# კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

ჯერალდ ვოლესი (შარლოტი)



### დასავლეთი

ტიმ დანკანი (სან ანტონიო)



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად აღმოსავლეთში ჯერალდ ვოლესი, დასავლეთში კი ტიმ დანკანი დასახელდნენ.

კლუბის თანამფლობელ მაიკლ ჯორდანისგან შეფუცხუნებული „შარლოტი“ სეზონს მძლავრი სპურტით ამთავრებს. წინა კვირაშიც ოთხიდან სამი თამაში მოიგო და ამაში ლომის ნვლილი სწორედ 201-სანტიმეტრიან ფორვარდ ჯერალდ ვოლესს მიუძღვის. ეს შედარებით მცირე სიკაშკაშის ვარსკვლავი ისეთ ფორმაშია, რომ ბოლო სამ კვირაში აგერ მეორედ გამოარჩიეს აღმოსავლეთში. ვოლესი ოთხ თამაშში საშუალოდ 30,0 ქულას, 10,8 მოხსნას, 4,0 ჩაჭრას და 3,0 პასს იხვეჭდა.

დასავლეთის რჩეულ ტიმ დანკანს კი ასეთი მცირე ტიტულებით ვერ გააკვირვებ. ის ნბა-ს სამგზის ჩემპიონი და ორგზის სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახლავთ. დანკანი, უბრალოდ, კარგად თამაშობს, ისეთი ტიტულები კი, როგორიც კვირის საუკეთესო მოთამაშეა, მისი კარიერის გზაზე მცირე მარგალიტებივითაა მიმობნეული.

კვირის სიმბოლური ხუთეული: კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ალენ აივერსონი (დენვერი), ჯერალდ ვოლესი (შარლოტი), კრის ბოში (ტორონტო), ტიმ დანკანი (სან ანტონიო)



ზაზა კედელაშვილს გურამ მოდებაძის გვერდში ყოფნამ ჩემპიონობა გაუადვილა

# ზემო ქედიდან ზემოთ და ზემოთ

## კედელაშვილი საჩინეთო კედელს აშენებს

**გასული წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი, ზემოქედელი ზაზა კედელაშვილი მიმდინარე სეზონის მონაცემებითაც საუკეთესოა. ბელგრადში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე „კედელამ" ხუთი შეხვედრა მოიგო და ტიტული დაიცვა. თანაც ფინალში ტურნირის მასპინძლების ყოჩაღ ჯილას მილოშ მიალკოვიჩს აჯობა და ოქროს მედალთან ერთად ოლიმპიური ლიცენზიისთვის მებრძოლთა სიასაც სათავეში მოექცა. შემოდგომამდე დარჩენილ საერთაშორისო შეჯიბრებებზე ზაზა ჩვეულზე ერთი წონით მაღლა ჭიდაობას აპირებს. ევროპული გამარჯვებით ტკბობა კი სულ ორიოდ დღეს გასტანს**

— ამბობენ, ჩემპიონობის შენარჩუნება მოპოვებაზე ძნელიაო. პირველ რიგში ალბათ ფსიქოლოგიური ტვირთია გასათვალისწინებელი, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ბელგრადში წასვლამდეც და იქ ჭიდაობისასაც ეს ტვირთი მთლიანად მოხსნილი მქონდა. ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზეც ვამბობდი, რომ შარშანდელი გამარჯვება მალევე დავივიწყე და ყველაფერი თავიდან დავიწყე, თავიდან ვიწვალე და მეორე ოქროც თავდაუზოგავი შრომით მოვიპოვე.

— ფინალამდე გავლილი გზა გაიხსენე...

— პირველ წრეში არცთუ ძლიერ ნორვეგიელ ალბინ დალს ხუთი წუთი ვეჭიდავე და ვაზარით მოვუგე, მერე საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ტარიელ ზიდირიდისს იპონით ვაჯობე, პორტუგალიელ პედრო დიასსაც ვადაზე ადრე მოვუმთავრე საქმე. ჰოლანდიელ დექს ელმონთან კი კოკაც საკმარისი აღმოჩნდა.

— ყველაზე მეტად ამ უკანასკნელთან გაგიჭირდა?

— არა. უბრალოდ, წინ რომ გავედი, გამწვავებას შეგნებულად მოვერიდე. ნახევარფინალი იყო და ჯობდა, მშვიდად ჩამემთავრებინა შეხვედრა. ამ ოთხეულიდან ყველაზე სერიოზულ მეტოქედ ზიდარიდისს მივიჩნევ. ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ ეს ბიჭი ქართველია — შმაგი სონიშვილი და შესაბამისად, ჩემი ჭიდაობის სტილს სხვებზე უკეთ იცნობს. ამ ევროპის ჩემპიონატამდე დიდ ტურნირებზე ორჯერ შევხვდი, ორჯერვე ახალგაზრდებში. ევროპაზე იმან მომიგო, მერე მსოფლიოზე მე, ახლა კი საერთო ანგარიშში წინ გავედი.

— ფინალში ყველასთვის მოულოდნელად სერბ მილოშ მიალკოვიჩთან მოგიხდა დაპირისპირება...

— ვერ დავეთანხმები აზრს, რომ ამ სერბის ფინალში გასვლა შემთხვევითობა იყო. მიალკოვიჩი აქამდე 60 კილოგრამში გამოდიოდა და ევროპის პრიზიორობაც მოასწრო. ჩემთვის მოულოდნელი მისი 66-ში ნახვა გამოდგა. ყველა სავარაუდო მეტოქეს ვიცნობდი, მის შესახებ კი, ცხადია, ბევრი არაფერი ვიცოდი.

— ამის გამო, ნახევარფინალში მიალკოვიჩთან ბენჟამენ დარბალეს ხომ არ გულშემატკივრობდი?

— სერბის და ფრანგის ჭიდაობას ყურადღებით ვუყურე. მიალკოვიჩმა იპონით მოიგო. სიმართლე გითხრათ, ეს შედეგი უფრო გამიხარდა. დარბალეს შარშანდელ ფინალში ვაჯობე და მასთან მეორედ შეხვედრას მიალკოვიჩთან დაჭიდება მერჩივნა. დარწმუნებული ვიყავი, იოლად მოვუგებდი.

— მაგრამ ძირითადი ხუთი წუთი ფრედ დასრულდა...

— ალბათ ეს სწორედ ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იყო. დამატებითში კი ბოლო ძალები მოვიკრიბე და როგორც იქნა, გავტეხე.

— პრობლემა მიალკოვიჩის სერბობამაც ხომ არ შეგიქმნა?

— მართალია მასპინძელი იყო და სოლიდური მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ ათასობით სერბი ქომაგის ხმაზე უკეთ ათი ქართველის ხმა მესმოდა. მუხტს საქართველოდან შემოსული სატელეფონო ზარებიც მმატებდა. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამჯერ დარეკა.

— ჩემპიონობა როგორ აღნიშნეთ?

— სამდღიანი ტურნირის პირველ დღეს ვიჭიდავე. შაბათ-კვირას კიდევ ხუთი ქართველი იყო ტატამზე გასასვლელი და წარმატების აღნიშვნაც აღდგომამდე გადავდეთ. ღვთის მადლით, საზეიმო კვირასაც გვქონდა.

— ნაკრების ასეთ წარმატებას ელოდი?

— ნამდვილად ველოდი და ამ იმედს ჩვენი შემადგენლობა მაძლევდა. წონების მიხედვით თუ გადახედავ, კარგად ჩანს, რომ ყველა წონაში ძალიან კარგი მოჭიდავე გვყავს და მთლიანად ნაკრებიც უძლიერესია.

— ოქროს შანსი კიდევ სამ ქართველს ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გამოიყენა...

— არადა, სამივეს რეალურად შეეძლო გაჩემპიონება. ირაკლი ცირეკიძემ გამოცდილ და ტიტულებიან უკრაინელ ვალენტინ გრეკოვთან დამატებით დროში დასანანი შეხვედრა წააგო. დავით ქევხიშვილი რუს სალმან მეჯიდოვს აქამდე უპრობლემოდ უგებდა ხოლმე, მაგრამ მაინცდამაინც ბელგრადში დაუშვა შეცდომა, რომელიც ოქროს ფასად დაუჯდა. ლაშა გუჯეჯიანმა კი ალბათ ფრანგი ტედი რინერი კარგად არ შეაფასა.

— საინტერესოა, ვის მიიჩნევს ევროპის ორგზის ჩემპიონი ევროპაში ყველაზე ანგარიშგასაწევ მეტოქედ?

— ფრანგი ბენჟამენ დარბალე, ჩემი აზრით, სხვებზე ძლიერია.

— შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატია. არაევროპელებიდან ვის გამოარჩევ?

— პირველ რიგში იაპონელ აკიმოტოს, რომელთანაც ორჯერ მაქვს წაგებული. ძალიან ძლიერები არიან ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი ჟოაო დერლი და კუბელი ოლიმპიური და მსოფლიოს პრიზიორი იორდანის არენსიბია.

— ევროპამოვლილი ალბათ ცოტას დაისვენებ. ვარჯიშს როდის გააგრძელებ?

— რა დროს დასვენებაა. 26 აპრილს იტალიურ მსოფლიოს თასზე მივდივართ. ეს ტურნირი პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულებს იძლევა და სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. დარბაზს კი ხუთშაბათს მივუბრუნდები.

— ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების დარიცხვა ბელგრადში დაიწყო. ჩემპიონობით რამდენი ქულა აიღე?

— 100 ქულა მაქვს. წინ კიდევ ბლომად სალიცენზიო ტურნირებია. პეკინის საგზური უკვე 80 პროცენტით გავინაღდე. ამიტომ შოთა ხაბარელთან ერთად გადავწყვიტე, სექტემბრამდე დარჩენილ ტურნირებზე წონა არ დავიკლო და 73 კილოგრამში ვიჭიდავო. 66-ს კი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დავუბრუნდები. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და ხაბარელს და ჩემს პირად მწვრთნელ გურამ მოდებაძეს მადლობას ვეტყვი. ეს უკანასკნელი პირველად იყო დიდ ტურნირზე ჩემს გვერდით და ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ძალა შემმატა.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# ოცნება კანადურ ბატუტზე

## კვებეკიდან პეკინი გამოჩნდა

**ოლიმპიური ბატალიების პროგრამაში ბატუტზე ხტომას სიდნეის თამაშებიდან ვხედავთ. დღემდე გამართულ ბატუტისტთა ორივე ოლიმპიურ ტურნირში თითო მონაწილე გვყავდა და, ეტყობა, უჩვენოდ არც პეკინური თამაშები ჩაივლის. ყოველ შემთხვევაში, ამ სახეობის წარმომადგენლები ერთი ან ორი ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებას გეგმავენ. მათი ამგვარი იმედები კანადის ქალაქ კვებეკში გამართულმა მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე ეტაპმა განამტკიცა. ამ შეჯიბრებაში განსაკუთრებული ინტერესით ველოდით თბილისელი ლიუბა გოლოვინას გამოსვლას, რომელსაც ახალგაზრდულ შეჯიბრებებში ყველა უმაღლესი ტიტული მოუგია, წლევანდელი სეზონი კი მისთვის უფროსთა ასპარეზობებში სადებიუტოა. ჩვენდა სასიხარულოდ, გოლოვინამ, როგორც ვიუწყებოდით, მეხუთე ადგილი დაიკავა**



ლიუბა გოლოვინა

— მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან ბრძოლაში დაკავებული მეხუთე ადგილი ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენისთვის ძალიან კარგი შედეგია — გვეუბნება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ***რუსუდან ხოფერია*** — ასევე კარგი შედეგია ამავე შეჯიბრებაში ვაჟებში 60-მდე მონაწილეს შორის ჩვენი თენგიზ კოშკაძის მიერ დაკავებული მეთვრამეტე ადგილი. სამწუხაროა, რომ კვებეკში გამართული შეჯიბრება სალიცენზიო არ იყო, ასეთი კი მხოლოდ შემოდგომაზე იქვე გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება. არადა, კვებეკური შედეგებით ორივე ჩვენი სპორტსმენი ოლიმპიური ლიცენზიანტი იქნებოდა.

— კვებეკში კიდევ ერთი ჩვენებური — ზურაბ ჭყონიაც გამოდიოდა...

— ჭყონია 48-ე აღმოჩნდა, რაც სავარაუდო შედეგთან ახლოსაა.

— მაგრამ რამდენიმე დღით ადრე ამერიკის ქალაქ ლეიკ პლესიდში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე ჩვენმა სამივე სპორტსმენმა მოსალოდნელზე ცუდი შედეგი აჩვენა...

— დიახ, ასე იყო, მაგრამ ამას რამდენიმე ახსნა აქვს. ჯერ იყო და, ჩვენმა სპორტსმენებმა ამერიკაში გაფრენამდე ძალზე ინერვიულეს, რადგან ვიზების საკითხი გაურკვეველი იყო. მათ ვიზები გამგზავრებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე მიიღეს, თუმც, უარი გვითხრეს მე და საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ ზაურ სულაშვილს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენი სპორტსმენები ამერიკასა და კანადაში უპატრონოდ გაემგზავრნენ. მართალია, მათ თან ახლდა ლიუბა გოლოვინას მამა, რომელიც შვილს თავადვე ავარჯიშებს, მაგრამ მას დანარჩენებთან არასოდეს უმუშავია.

ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ლეიკ პლესიდში და კვებეკშიც ერთნაირი, კანადური წარმოების ბატუტი იყო, თბილისში კი სხვაგვარზე ვარჯიშს მიეჩვივნენ. ამიტომ ჩვენმა სპორტსმენებმა ამერიკაში ახალ ბატუტს ასე უცბად ალღო ვერ აუღეს, კვებეკში კი ეს ინვენტარი უკვე ნაცნობი აღმოჩნდა და მასზე უკეთაც გამოვიდნენ. ჩვენი ერთადერთი სალიცენზიო ტურნირი, მსოფლიოს ჩემპიონატი, შემოდგომაზე კვლავ კვებეკში გაიმართება და იქაც იგივე ბატუტი იქნება. მერიდება, მაგრამ თუ ჩვენი სპორტის ხელმძღვანელობა ამას გაითვალისწინებს და ანალოგიურ კანადურ ბატუტს როგორმე შეგვიძენს, ეს ჩვენს სალიცენზიო შანსებს მნიშვნელოვნად გაზრდის.

— თქვენ ამერიკაში და კანადაშიც მსაჯად იყავით მიწვეული. როგორ ფიქრობთ, რამდენად იმოქმედა ჩვენი სპორტსმენების შედეგებზე თქვენმა იქ არყოფნამ?

— საერთოდ, როცა სპორტსმენს მსაჯთა ბრიგადაში თავისი თანამემამულე ეგულება, უფრო მშვიდად და აუღელვებლად გამოდის. ამასთან, ასეთ შემთხვევაში არბიტრები მსაჯიანი ქვეყნის წარმომადგენლებს იოლად ველარ ჩაგრავენ. ასე რომ, თავად განსაჯეთ, რამდენად წაადგებოდათ ჩვენს სპორტსმენებს ჩემი და საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის იქ ყოფნა.

**ავთანდილ ტყვიშელი**



# რამდენჯერ წაიქეცით, აღარა კმარა?!

**რა ვქნათ**, ენა არ გვიბრუნდება ქართველ ხელბურთელთა მორიგი უსახური გამოსვლის გამო, მაგრამ რაოდენ დამამცირებელიც არ უნდა იყოს, უმწარეს რეალობას ვერსად გავექცევით.

გაგიგონიათ, ხელბურთელთა გუნდს ერთ ტაიმში, რომელიც 30 წუთს გრძელდება, სამათხოვრო ორად ორი გოლი გაეტანოს მეტოქისთვის, თუნდაც ის მსოფლიოს ჩემპიონი იყოს. მიხვდებოდით, ამ საგინესო ანტირეკორდის ავტორები ჩვენ გავხდით, კერძოდ, საქართველოს 21-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები, რომელიც მასპინძელ დანიელებთან შეხვედრის მეორე ნახევარში 2:25 განადგურდა, მთელი მატჩი კი 6:49 წააგო. მეტი უბედურება რაღა უნდა მომხდარიყო, მოუმზადებელმა და უშემადგენლო „ნაკრებმა“, რომელსაც ორგანიზაციული გაუგებრობის გამო აკლდა მთავარი ხაზელი და დაცვის ბურჯი ირაკლი სიგუა, აგრეთვე კიდევ ორი წამყვანი მოთამაშე, სამივე თამაში სამარცხვინოდ წააგო და ჩვენთვის ტრადიციულად ქცეულ ბოლო ადგილზე დარჩა.

**გია ახალაძე**

## საქართველო დანიაში

საქართველო 21:34 ლიტვა
საქართველო 6:49 დანია
საქართველო 16:36 უკრაინა



# ისინბაევა ჯეკპოტს შეიზნებს



**ელენა ისინბაევამ** „ოქროს ლიგის“ ექვსივე ტურნირში მონაწილეობა განუზრახავს, რომლის პროგრამაშიც ქალთა ჭოკით ხტომა წლეულს პირველად შეიტანეს.

„ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დისციპლინა „ოქროს ლიგის“ პროგრამაში მოხვდა — ამბობს მსოფლიოს რეკორდსმენი — ეს ძალიან პრესტიჟული ტურნირია. მინდა, რომ ექვსივე ტურნირში მონაწილეობით ჯეკპოტი მოვხსნა. ეს იოლი არ იქნება, რადგან წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატიც ტარდება და ძალიან გრძელი სეზონი გვექნება“.

წლეულს „ოქროს ლიგის“ მილიონდოლარიან საპრიზო ფონდს მხოლოდ ის სპორტსმენები გაინაწილებენ, რომლებიც ექვსივე ეტაპს მოიგებენ.

„ასეთი ფორმულა მე უფრო მომწონს, რადგან სეზონის ბოლოს მართლაც უძლიერესნი შეიკრიბებიან, ისინი, რომლებსაც ჯეკპოტთან მიახლოება რეალურად შეუძლიათ“ — თქვა ყველაფრის მომგებმა ისინბაევამ, რომლის აზრით, „ოქროს ლიგის“ პროგრამაში ქალთა ჭოკით ხტომის შეტანა ამ დისციპლინის პოპულარობას აამაღლებს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# სარეიტინგო ადი-ჩადი



**გასული კვირა** სადევისთასო იყო, ATP-ის ტურნირები არ ჩატარებულა და შესაბამისად, კაცთა რეიტინგის სათავეში არანაირი ცვლილება არ მომხდარა. აი, WTA-მ კი ახალი კლასიფიკაციები გამოაქვეყნა და განთესვის რეიტინგში მყოფმა თერთმეტმა ჩვენებურმა მეტ-ნაკლებად შეიცვალა პოზიცია.

თავიდან მივყვეთ: საქართველოს პირველმა ჩოგანმა მაკა ჩახნაშვილმა 209 სარეიტინგო ქულით სამით დაბლა, 145-ე საფეხურზე ჩაინაცვლა. ანა ტატიშვილმა პირიქით, ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და 68,75 ქულით 320-ე პოზიციაზე ავიდა. სოფო მელიქიშვილმა ხუთი ადგილით უკან დაიხია და ახლა 58 ქულით 349-ეა. სალომე დევიძემ, ვისაც 26,25 ქულა აქვს, რვა საფეხურით მაღლა, 535-ე ადგილზე აიწია.

ათასეულში მყოფი კიდევ ოთხი ქართველიდან სამმა — სოფო შაფათავამ, ეკა გორგოძემ და მანანა შაფაქიძემ მცირედით უკან დაიხიეს. შაფათავა (-8) 15,25 ქულით 694-ე ადგილზეა, გორგოძეს (-6) 12 ქულით 773-ე პოზიცია უჭირავს, ხოლო შაფაქიძე (-3) 10,25 ქულით 818-ეა.

სამაგიეროდ, ოქსანა კალაშნიკოვამ ერთბაშად 48 ადგილით წინ წაიწია და 7,5 ქულით 921-ე ადგილს უწია.

ათასეულს მიღმა კიდევ სამი ჩვენებურია. თეონა ცერცვაძეს (-1) 5,25 ქულით 1077-ე პოზიცია უჭირავს, სოფო ქვაცაბაია (+3) 4 ქულით 1193-ეა, ხოლო მარიამ ქურდაძე (-3) 2,75 ქულით 1331-ე საფეხურზე იმყოფება.

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3994 |
| 2 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3388 |
| 3 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2776 |
| 4 კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2699 |
| 5 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2667 |
| 6 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2294 |
| 7 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2168 |
| 8 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი | 1957 |
| 9 ელენა იანკოვიჩი (სებრეთი) | 1882 |
| 10 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1847 |
| 11 სერენა უილიამსი (აშშ) | 1769 |
| 12 დინარა საფინა (რუსეთი) | 1638 |
| 13 ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1635 |
| 14 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1616 |
| 15 შაჰარ პირი (ისრაელი) | 1508 |
| 16 პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1505 |
| 17 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1495 |
| 18 ნა ლი (ჩინეთი) | 1388 |
| 19 ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1281 |
| 20 ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1083 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1 სერენა უილიამსი (აშშ) | 1530 |
| 2 ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1050 |
| 3 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1036 |
| 4 მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1030 |
| 5 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1000 |
| 6 კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 985 |
| 7 დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 937 |
| 8 სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 936 |
| 9-10 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 850 |
| 9-10 ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 850 |
| 11 შაჰარ პირი (ისრაელი) | 826 |
| 12 ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 825 |
| 13 ნადია პეტროვა (რუსეთი) | 816 |
| 14 ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 756 |
| 15 ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 755 |
| 16 ნა ლი (ჩინეთი) | 682 |
| 17 დინარა საფინა (რუსეთი) | 551 |
| 18-19 სიბილ ბამერი (ავსტრია) | 540 |
| 18-19 ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 540 |
| 20 ტატიანა გარბინი (იტალია) | 456 |

# მელიქიშვილი ბადეში შევიდა



**ამერიკის** შეერთებული შტატების ქალაქ ჯექსონში ITF-ის ეგიდით 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და ჩვენმა სოფო მელიქიშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით მოახერხა შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრა.

საამისოდ სოფოს ორი მეტოქის დამარცხება დასჭირდა — პირველ წრეში 19 წლის ამერიკელ კეიძი გრეის 6:2 6:0 მოუგო, ხოლო შემდეგ 33 წლისა და რეიტინგში 556-ე ადგილზე მყოფი ბელარუსი სვეტლანა კრივენჩევა 6:1 6:3 დაჯაბნა.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში მელიქიშვილი მე-3 ნომრად განთესილ 19 წლის ახალზელანდიელ მარინა ერკოვიჩს შეხვდება, ვისაც კლასიფიკაციაში 161-ე ადგილი უჭირავს.

დევისის თასზე წარუმატებელი თამაშისა და სერბებთან მარცხის შემდეგ ლადო ჩიხლაძემ შვედურ დრავშეტს მიაშურა და იქაურ ტურნირზე მე-4 ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში ლადო რეიტინგში 595-ე პოზიციაზე მყოფ ნორვეგიელ სტიან ბორეტის შეხვდება და, თუ მას დაამარცხებს, მერე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ ედვარდ კორიის დაუპირისპირდება.

# პლეი ოფი. პირველი წრე

## აღმოსავლეთი

### ბუფალო (1) — აილენდერსი (8)

რეგულარული ჩემპიონატი: ბუფალო 53-22-7; აილენდერსი 40-30-12
სეზონის სერია: ბუფალომ მოიგო 3:1

რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდი პლეი ოფის ერთ-ერთი უპირობო ფავორიტიცაა. წლეულს „ხმლები" მაქსიმალურად კარგად არიან მომზადებულნი — გუნდი ყველა ხაზში დიდებულად არის დაკომპლექტებული და მთელ ლიგაში უსწრაფეს ჰოკეისაც თამაშობს, რაც პლეი ოფისთვის ზედგამოჭრილია. ჩემპიონატის მიწურულს ლაზარეთის დაცლა კი „ბუფალოსთვის" დამატებითი პლიუსია.

ძნელი წარმოსადგენია, რა შეიძლება დაუპირისპიროს „ბუფალოს" „აილენდერსმა", რომელმაც ყველაზე ბოლოს გაინაღდა ადგილი პლეი ოფში. ლონგ აილენდის ბინადრებს სასწრაფოდ ესაჭიროებათ ძირითადი მეკარის რიკ დი პიეტროს მწყობრში ჩადგომა, თორემ ფარმ-კლუბის კიპერ უეიდ დუბილევიჩით შორს ვერ გაფრინდებიან.

„აილენდერსი" პლეი ოფში ზედიზედ მესამედ ეთამაშება კონფერენციის ლიდერს და წინა ორ შემთხვევაში ხუთ მატჩში დამარცხდა. წესით, ამაზე მეტ ხანს არც ეს სერია უნდა გაიწელოს.

### ნიუ ჯერსი (2) — ტამპა (7)

რეგულარული ჩემპიონატი: ნიუ ჯერსი 49-24-9; ტამპა 44-33-5
სეზონის სერია: ტამპამ მოიგო 3:1

ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სტილისა და ფილოსოფიის დაპირისპირება იქნება. სუპერდაცვითი „ნიუ ჯერსი" ძალიან შემტევი „ტამპას" წინააღმდეგ — აღმოსავლეთ კონფერენციაში ეს ალბათ ყველაზე დამაინტრიგებელი წყვილია.

„ნიუ ჯერსის" ძალა ისევ და ისევ კარგად დაბალანსებულ უკანა ხაზსა და ზე-ხისტ ჰოკეიში იქნება. თუმც უპირატესობა მეკარის ფაქტორს მიენიჭება — ამ კომპონენტში „ეშმაკები" მეტოქეზე ცხრა თავით მაღლა დგანან, რადგან ისედაც ყოველთვის ძლიერად მოთამაშე მარტინ ბროდოს კარიერის საუკეთესო სეზონი აქვს და წლეულს არა მარტო საუკეთესო მეკარის, არამედ ლიგის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის მოგების უმთავრესი პრეტენდენტია.

„ტამპა" კი თავდასხმელთა სუპერტრიოზე — ვენსან ლეკავალიეზე, მარტინ სან ლუისსა და ბრედ რიჩარდსზე იქნება დამოკიდებული. თუმც ისიც სათქმელია, რომ ფლორიდელებს ამ სამეულის იქით შეტევაში დიდი პრობლემები აქვთ, რადგან ფორმაში ვერ არიან რუსლან ფედოტენკო და ვაცლავ პროსპალი.

„ნიუ ჯერსის" დარმა ჭკვიანმა გუნდმა კი ერთი შემტევი სამეულის ადრე თუ გვიან შეჩერება მაინც უნდა შეძლოს, რის გამოც ამ სერიის ფავორიტად „ეშმაკები" მიიჩნევიან.

### ატლანტა (3) — რეინჯერსი (6)

რეგულარული ჩემპიონატი: ატლანტა 43-28-11; რეინჯერსი 42-30-10
სეზონის სერია: ატლანტამ მოიგო 3:1

სამხრეთ-დასავლეთ დივიზიონის ბოლო ორმა გამარჯვებულმა — „ტამპამ" და „კაროლინამ" საბოლოოდ სტენლის თასი აიღეს. შეძლებს კი „ატლანტა" მათი შედეგის გამეორებას? ეს ცოტა ძნელი სავარაუდოა, რადგანაც ჯორჯიელები პლეი ოფში პირველად თამაშობენ და ეს ატმოსფერო მათთვის სრულიად უცხო ხილია. მეორე მხრივ „რეინჯერსი" ეცდება, შარშანდელი კოშმარი დაივიწყოს — ერთი წლის წინ ნიუიორკელები „ნიუ ჯერსისთან" 0:4 განადგურდნენ. მაგრამ წლევანდელი გუნდი გაცილებით შეკრული და ერთსულოვანია, რაშიც დიდი წვლილი დაიდეს წლეულს მოსულმა ბრენდან შენაჰანმა და შონ ეივერიმ. ფანტასტიკურად თამაშობს მეკარე ჰენრიკ ლუნდკვისტი და და ნურც იარომირ იაგრს დავივიწყებთ.

მოკლედ, განთესვის მიუხედავად, ამ წყვილის ფავორიტად მაინც „რეინჯერსი" მოჩანს.

### ოტავა (4) — პიტსბურგი (5)

რეგულარული ჩემპიონატი: ოტავა 48-25-9; პიტსბურგი 47-24-11
სეზონის სერია: პიტსბურგმა მოიგო 3:1

ეს გამოცდილებისა და ახალგაზრდობის დაპირისპირება იქნება. „ოტავა", რომელიც ზედიზედ მეათედ გავიდა პლეი ოფში, იმ „პიტსბურგის" დამარცხებას ეცდება, 6-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად რომ იბრძოლებს სტენლის თასისთვის.

საყოველთაო შეფასებით, წლევანდელი „ოტავა" წინა წლებისგან განსხვავებით, ნაკლებად შემტევი, მაგრამ საპლეიოფო ჰოკეისთვის უკეთესად არის მომზადებული და აღმოსავლეთ კონფერენციის ფარულ ფავორიტადაც ითვლება.

„პიტსბურგისგან" წლეულს განსაკუთრებულს არაფერს მოელიან — პლეი ოფში გასვლით გუნდმა ისედაც ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მაგრამ ამაზე ხელს არ მოაწერენ სიდნი კროსბი, ევგენი მალკინი, ჯორდან სტაალი და მარკ-ანდრე ფლერი, რომლებიც არანაირ ფავორიტს არ ცნობენ და მაქსიმალურად ეცდებიან, მორიგი სიურპრიზი მოაწყონ. თუმც ამ სერიაში გამოცდილება ალბათ მაინც თავისას გაიტანს და წესით, „ოტავა" 6 მატჩში უნდა ჩაეტიოს.

**ქახა ლომჯუშვილი**

## პატარა სიდი დიდია

„პიტსბურგის" სუპერთინეიჯერი სიდნი კრ. სბი ნჰლ-ის ისტორიაში ლიგის ყველაზე ახალგაზრდა ბომბარდირად იქცა და სამისოდ განკუთვნილი „არტ როს ტროფეც" გაინაღდა. ამას „პატარა სიდიმ" 19 წლისა და 8 თვის ასაკში მიაღწია. „დიადი ვინმე" — უეინ გრეცკი — 7 თვით უფროსი იყო, როცა მან პირველად მოიგო ეს პრიზი 1981 წელს. შეგახსენებთ, რომ კროსბიმ ჩემპიონატი 120 ქულით (36+84) ჩაამთავრა.

წლევანდელი „მორის რიშარ ტროფი" (საუკეთესო სნაიპერს) კი ტამპელ ვენსან ლეკავალიეს დარჩა, რომელმაც 52-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარებები.



## ბოლო ვარსკვლავის დუბილევიჩი

2006-07 წლების რეგულარული ჩემპიონატის უკანასკნელი კვირის საუკეთესო მოთამაშედ „აილენდერსის" რიგით მესამე მეკარე უეიდ დუბილევიჩია. ძირითად გოლკიპერ რიკ დი პიეტროს დამტვრევის შემდეგ „კუნძულელებმა" დუბილევიჩი ფარმ-კლუბიდან გამოიძახეს და მანაც ჩემპიონატის მიწურული უმაღლეს დონეზე ითამაშა და გუნდის პლეი ოფში გაყვანაში ლომის წვლილი დაიდო.

მეორე ვარსკვლავობა „კოლორადოს" სუპერკაპიტან ჯო საკიკს ერგო, რომელმაც გასულ შვიდდღეულში 9 ქულა (2+7) მოიხვეჭა და უკვე მეექვსედ უწია 100 ქულიან თამასას. ხოლო კარიერაში მოგროვილი 1 589 ქულით საკიკი ყველა დროის ბომბარდირთა დავაში მეცხრე ადგილზეა და მერვეზე მყოფ ფილ ესპოზიტოს მხოლოდ 1 ქულითღა ჩამორჩება.

მესამე ვარსკვლავად „მინესოტას" კარის დარაჯი ნიკლას ბეკსტრომი დასახელდა, რომელმაც გასულ კვირას სამ მატჩში იმარჯვა და აქედან ორში შათაუტი გაახერხა.

## ლიგის ლიდერები




**ბომბარდირები:** სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 120 (36+84); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 114 (22+92); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 108 (52+56); დენი ჰიტლი (ოტავა) 105 (50+55); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 102 (43+59); მარიან ჰოსა (ატლანტა) 100 (43+57); ჯო საკიკი (კოლორადო) 100 (36+64); მარკ სავარი (ბოსტონი) 96 (22+74); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 96 (30+66); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 95 (32+63); ჯერომ იგინლა (კალგარი) 94 (39+55); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 94 (48+46); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 92 (46+46); ოლი იოკინენი (ფლორიდა) 91 (39+52).

**გოლეადორები:** ლეკავალიე 52; ჰიტლი 50; სელიანე 48; ოვეჩკინი 46; სენ ლუი, ტომაშ ვანეკი (ბუფალო), ჰოსა 43-43; ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 42; სიმონ განიე (ფილადელფია) 41; ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი) 40.

**ასისტენტები:** ტორნტონი 92; კროსბი 84; სავარი 74; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 71; იაგრი 66; საკიკი 64; ბრიარი 63; პაველ დაციუკი (დეტროიტი) 60; სენ ლუი, ალექს ტანგეი (კალგარი) 59-59; დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 58; ჰოსა, მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 57-57.

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** ვანეკი 47; ალფრედსონი 42; ტომ პრეისინგი (ოტავა), ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 40-40; დერეკ როი (ბუფალო), ანტონ ვოლჩენკოვი (ოტავა) 37-37; დაციუკი, კრის ფილიპსი (ოტავა) 36-36; მარეკ მალიკი (რეინჯერსი) 32; ჰიტლი 31; კრისტოფ შუბერტი (ოტავა) 30.

**გოლები უმრავლესობაში:** სელიანე 25; შელდონ სურეი (მონრეალი) 19; კოვალჩუკი 18; მაიკლ რაიდერი (მონრეალი), ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი), ჰოსა, ჰიტლი, კრის დრური (ბუფალო) 17-17; დანიელ სედინი (ვანკუვერი), მიხაელ კამალერი (ლოს ანჯელესი), საკიკი, ლეკავალიე, ოვეჩკინი, ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 16-16.

**გოლები უმცირესობაში:** ჯორდან სტაალი (პიტსბურგი) 7; ლეკავალიე, სენ ლუი, კრის დრეიპერი (დეტროიტი) 5-5; მაქსიმ ტელბოტი (პიტსბურგი), კრის კლარკი (ვაშინგტონი), მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია), ბრაიან სმოლინსკი (ვანკუვერი), მეტიუ ლომბარდი (კალგარი) 4-4.

**გამარჯვების გოლები:** ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი), სელიანე, ჰიტლი 10-10; პატრიკ მარლო (სან ხოსე), დრური, მილან მიხალეკი (სან ხოსე) 9-9; ჯასტინ ვილიამსი (კაროლინა), ოვეჩკინი, ვიაჩესლავ კოზლოვი (ატლანტა), დ. სედინი, იოკინენი 8-8.

**გოლები ოვერტაიმში:** დ. სედინი 4; ბრიარი, სენი სალო (ვანკუვერი), კოლბი არმსტრონგი (პიტსბურგი) 3-3.

**კარში დარტყმები:** ოვეჩკინი 392; იოკინენი 351; ჰოსა 340; ლეკავალიე 339; კოვალჩუკი 336; იაგრი 324; მატს სუნდინი (ტორონტო) 321; ჰიტლი 310; ბრაიან როლსტონი (მინესოტა), ბლეიკი 305-305.

**დარტყმათა რეალიზაციის პროცენტი:** სტაალი 22,1; ჯეისონ სპეცა (ოტავა) 21,0; ტანგეი 20,6; კრისტიან ჰუსელიუსი (კალგარი) 19,7; ალექსანდრ რადულოვი (ნეშვილი) 18,8; სელიანე 18,7; დრური 18,6; კლარკი 18,3; ვანეკი 18,1; სტივ სალივანი (ნეშვილი) 18,0.

**საჯარიმო წუთები:** ბენ ეიგერი (ფილადელფია) 233; ჯოშ გრეტონი (ფინიქსი) 188; კრის ნილი (ოტავა) 177; შეინ ობრაიანი (ტამპა) 176; შონ ეივერი (რეინჯერსი) 174; დონალდ ბრაშარი (ვაშინგტონი) 156.

**ახალბედები:** მალკინი 85 (33+52); პოლ შჩასტნი (კოლორადო) 78 (28+50); ეინზი კოპიტარი (ლოს ანჯელესი) 61 (20+41); ვაიტეკ ვოლსკი (კოლორადო) 50 (22+28); დასტინ პენერი (ანაჰაიმი) 45 (29+16); სტაალი 42 (29+13); ტრევიზ ზაიაკი (ნიუ ჯერსი) 42 (17+25); მეტიუ კარლი (სან ხოსე) 42 (11+31).

**ბომბარდირი მცველები:** სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი) 69 (15+54); სერგეი გონჩარი (პიტსბურგი) 67 (13+54); სურეი 64 (26+38); დენ ბოილი (ტამპა) 63 (20+43); ლიდსტრომი 62 (13+49); რაიან უიტნი (პიტსბურგი) 59 (14+45); კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 59 (13+46); ტომაშ კაბერლე (ტორონტო) 58 (11+47); ლუბომირ ვიშნოვსკი (ლოს ანჯელესი) 58 (18+40).

### მეკარეები

**გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი:** ნიკლას ბეკსტრომი (მინესოტა) 1,97; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,05; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,18; მარტი ტურკო (დალასი) 2,23; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,26; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,28; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,29; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 2,34.

**დარტყმათა მოგერიების პროცენტი:** ბეკსტრომი 92,9; კრის მეისონი (ნეშვილი) 92,5; ბროდო 92,2; ლუონგო 92,1; ტომაშ ვოკუნი (ნეშვილი) 92,0; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი) 91,9; ჟიგერი 91,8; რეი ენერი (ოტავა) 91,8; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 91,7; ლუნდსკვისტი 91,7.

**მოგებული მატჩები:** ბროდო 48; ლუონგო 47; მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი), რაიან მილერი (ბუფალო), კიპრუსოფი 40-40; ჰაშეკი, ტურკო 38-38; ენდრიუ რეიკროფტი (ტორონტო), ლუნდკვისტი 37-37; ჟიგერი 36.

**შათაუტები:** ბროდო 12; ჰაშეკი 8; კიპრუსოფი, ნაბოკოვი 7-7; ტურკო 6; ლუონგო, მეისონი, დიპიეტრო, ფლერი, ლუნდკვისტი, ვოკუნი, მენი რეგასი (სენტ ლუისი), ემერი, ბეკსტრომი 5-5.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

*მანჩესტერი (ინგლისი)* 7:1 რომა (იტალია) (1:2)

1:0 კარიკი (11), 2:0 სმიტი (17), 3:0 რუნი (19), 4:0, 5:0 რონალდუ (44, 49), 6:0 კარიკი (60), 6:1 დე როსი (69), 7:1 ევრა (81)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ოში (ევრა 52), ფერდინანდი, ბრაუნი, ჰაინცე, რონალდუ, კარიკი (რიჩარდსონი 73), ფლეტჩერი, გიგზი (სოლსკიაერი 61), სმიტი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
რომა: დონი, კასეტი, მექსეში, კიუუ, პანუჩი, დე როსი (ფატი 86), დ. პიზარო, ვილჰელმსონი (როზი 88), ვუჩინიჩი, მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: სმიტი (41), ფერდინანდი (42), კასეტი (76), მექსეში (88)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
76 212 მაყურებელი

ვალენსია (ესპანეთი) 1:2 *ჩელსი (ინგლისი)* (1:1)

1:0 მორიენტესი (32), 1:1 შევჩენკო (52), 1:2 ესიენი (90)
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, ხოაკინი, ალბელდა, რ. ალბიოლი (უგო ვიანა 72), დ. სილვა, ვილია, მორიენტესი (ანგულო 65)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
ჩელსი: ჩეხი, ლ. დიარა (ჯ. კოული 46), რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ესიენი, მიკელი, ლამპარდი (მაკელელე 90), ბალაკი, დროგბა, შევჩენკო (ს. კალუ 90)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ესიენი (4), ბალაკი (21), დელ ორნო (45), ალბელდა (51), აიალა (60), მორეტი (62)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
56 000 მაყურებელი

# ინგლისმა სამხრეთის სამხრეები აახია



კრიშტიანუ რონალდუმ რომაელ მცველებში გაინავარდა

AFP

** იციით,** რა იყო, ჩვენი აზრით, ყველაზე შეურაცხმყოფელი „რომასთვის“ „მანჩესტერთან“ მატჩში? არა შვიდი გაშვებული გოლი, არამედ ის კადრი, ოპერატორებმა გულმოდგინედ რომ გვაჩვენეს ტელემაყურებლებს — თამაში ჯერ არ დასრულებულიყო, სერ ალექს ფერგიუსონი კი მოედნისკენ ზურგით დგას და ტრიბუნაზე გულშემატკივრებს ავტოგრაფებს ურიგებს...

თუმცა, მეორე მხრივ, შვიდი გოლი რომ არა, რა ძალას უნდა შეებრუნებინა ფერგიუსონი ტრიბუნისკენ?!

ახლა აზრი აღარ აქვს ბჭობას, რა მოხდებოდა, რომაელთა მეკარე დონის პირველი გოლისას, ნახტომი თუ არა, ხელი მაინც რომ გაეშალა. ასევე უაზრობაა იმაზე კამათი, შეეძლო თუ არა მცველს რაიან გიგზის პასის ჩაჭრა მეორე გოლისას...

მანჩესტერელთა პირველი და მეორე გოლი ასე გავიდა, დანარჩენები კი იოლად მიჰყვა და გასაოცარი ფანტაზიის უნარი უნდა ჰქონდეს ადამიანს, ვინც დანიელე დე როსის მართლაც ჩინებულ, მაგრამ კინკილა საპასუხო გოლს პრესტიჟისას უწოდებს...

და სადაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრწყინვალე გამარჯვებაზე ვლაპარაკობთ, იმაზეც ვთქვათ, ეს ოლდტრაფორდული თამაში უსისხლოდ რომ ჩაამთავრეს. მანჩესტერელ პოლისმენებზე და მათ ცხენებსა და ძაღლებზე მოგახსენებთ (ბრიტანულ საზოგადოებრივ მაუწყებელ BBC-ს წესრიგის დაცვაში ოთხფეხთა ღვაწლი საგანგებოდ აქვს აღნიშნული). BBC-ს ცნობით, მანჩესტერის სასიქადულო პოლიციამ მატჩის დაწყებამდე ალკვეთა იტალიელ ქომაგთა ჯგუფის მცდელობა, თამაშს ექსცესების თანხლებით ჩაევლო. პოლიციამ ასევე აღკვეთა ინგლისელ ფანთა ჩანაფიქრი, რომელთაც მოედანზე ბოთლების სროლა ჰქონდათ განზრახული და საბოლოოდ, ორივე დაჯგუფების წევრთა ნაწილი საპატიმროშიც აღმოჩნდა.

ხოლო თუ „ოლდ ტრაფორდზე“ ყველაფერი მე-19 წუთისთვის გარკვეული იყო, ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი ნახევარფინალისტის ვინაობის შესატყობად მთელი 90 წუთი დაგვჭირდა. ვალენსიურ „მესტალიაზე“, მეფსონეთა ენით რომ ვთქვათ, ტაიმბოლი გაგორდა. ანუ, პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს ფერნანდო მორიენტესის გოლით, მეორის დასაწყისში ჩელსელთაგან ანდრეი შევჩენკომ გაათანაბრა და როცა დამატებითი ტაიმებისთვის მოვემზადეთ, ლონდონელთა გამარჯვებისა სწორედ მაშინ შეუგდო განელმა მიკაელ ესიენმა ახლო კუთხეში სანტიაგო კანისარესს.

და აქაც, ვინ იცის, რა მოხდებოდა, პირველ გოლამდე წუთით ადრე, იმავ მორიენტესის ძელისთვის გარტყმული ბურთი რომ გასულიყო...

რაკი ის ბურთი არ გავიდა და „ჩელსიმ“ მოიგო, ცოტაოდენი ისტორიაც: „ჩელსი“ პირველი ინგლისური გუნდი შეიქნა, ბოლო 40 წელიწადში „მესტალიაზე“ რომ მოიგო. 1967-ში ეს „ლიდს იუნაიტედმა“ მოახერხა ბაზრობათა თასის გათამაშებაში. ხოლო ახლანდელ „ჩელსიზე“ თუ გვაქვს ლაპარაკი, უთუოდ უნდა აღვნიშნოთ: ბოლო ოთხ სეზონში აბრამოვიჩელები მესამედ გადიან ლიგის ნახევარფინალში.

ნახევარფინალში კი „მანჩესტერი“ „ბაიერნ“-„მილანის“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო „ჩელსის“ მეტოქე, დიდი სიზუსტით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლივერპული“ იქნება.

**კოტე კეკელია**



დიდიე დროგბა და ანდრეი შევჩენკო

AFP

# გუშინ ჩეხეთში ბრუკნ-ერა დასრულდა



**ჩეხეთის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი გუშინ გადადგა — ამის თაობაზე ინფორმაცია ჩეხურმა სააგენტოებმა გაავრცელეს.

ჩეხეთის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ვლასტიმილ კოშტიალის თქმით, ბრიუკნერმა ფეხი ვერ აუწყო თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს.

ჩეხებმა ბრიუკნერზე განსაკუთრებით მაშინ აიცრუეს გული, როცა ევროშესარჩევ მატჩში შინ გერმანიასთან 1:2 წააგეს. მას შემდეგ არაერთხელ ითქვა, იგი დიდხანს ვერ შეინარჩუნებს ადგილსო და აი, ასრულდა კიდეც.

ჩეხურმა სააგენტოებმა ბრიუკნერის შემცვლელი კანდიდატებიც დაასახელეს: ივან ჰაშეკი (ფრანგული „სენტ ეტიენის“ თავკაცი), კარელ იაროლიმი („სლავია“) და ვლასტიმილ პეტრჟელა („სიგმა“).

**კახა შალამბერიძე**

### ინგლისი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
იორკი 3:1 რაშდენი

### იტალია
სერია B
გადადებული მატჩები
იუვენტუსი 2:0 ნაპოლი
ბრეშა 2:0 ტრიესტინა
ტრევიზო 1:0 პესკარა

### პოლონეთი
თასის ნახევარფინალი
1 მატჩი
კორონა 3:2 პლოცკი

### ნორვეგია
ტიპელიგა. 1 ტური
სტაბეკი 0:1 ბრანი

### შვედეთი
ალსვენსკა. 1 ტური
გაის 1:1 ჰამარბი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშტარია, ვაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მდლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge